ევროკავშირი
საქართველოსთვის

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

სასკოლო უსაფრთხოება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების
პოლიტიკის დაგეგმვისა და აღსრულების ანალიზი

სასკოლო უსაფრთხოება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და აღსრულების ანალიზი

თბილისი
2023

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

კვლევაზე პასუხისმგებელი პირი: გურამ იმნაძე
მკვლევრები: გიორგი ფოცხვერიშვილი, თორნიკე გერლიანი
კვლევის ასისტენტი: თამარ ფაჩულია
რედაქტორი: ნინო კალატოზიშვილი
ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

ტირაჟი: 100
ISBN: 978-9941-8-5559-7

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გიორგი ფოცხვერიშვილი, თორნიკე გერლიანი, „სასკოლო უსაფრთხოება - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და აღსრულების ანალიზი“, 2023*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06
www.socialjustice.org.ge
info@socialjustice.org.ge
https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

წინათქმა

წინამდებარე დოკუმენტი შეიქმნა ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის – „ზრუნვა, პრევენცია, უფლებები“ (პროექტი CPR) ფარგლებში. პროექტი ემსახურება ქვეყანაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარების ხელშეწყობას.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია საქართველოში მოქმედი „უსაფრთხო სკოლის“ მოდელის შესწავლა, მათ შორის, ლიტერატურის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი და მათზე დაყრდნობით, სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე პასუხისმგებელი რგოლებისთვის რეკომენდაციების წარდგენა. დოკუმენტი დაეხმარება პოლიტიკის დამგეგმავ და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, მათ შორის, სკოლის დირექტორებს, მასწავლებლებსა და სკოლის მანდატურებს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების სრულყოფაში, ასევე, არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და კრიტიკულ გააზრებაში. ამასთანავე, კვლევა დახმარებას გაუწევს იმ სტუდენტებსა და მკვლევრებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სასკოლო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესწავლით.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი მადლობას უხდის სსიპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურს კვლევაზე მუშაობის პროცესში მჭიდრო თანამშრომლობისთვის.

სარჩევი

შესავალი 7
მეთოდოლოგია.....11
ძირითადი მიგნებები:..... 14
1. უსაფრთხო სკოლის კონცეფცია 16
1.1. უსაფრთხო სკოლის მოდელები: 18
1.1.1. პროდუქტზე დაფუძნებული უსაფრთხოების მოდელი... 20
1.1.2. პროცესზე დაფუძნებული უსაფრთხოების მოდელი..... 21
1.1.3. გარემოზე დაფუძნებული პრევენციული მიდგომა..... 24

2. სასკოლო უსაფრთხოების არქიტექტურა საქართველოში 28

3. მანდატურის სამსახურის შექმნისა და განვითარების ისტორია ... 36

4. მანდატურის ფუნქციები..... 43

5. სასკოლო დარღვევების ელექტრონული აღრიცხვა
და ინფორმაციის გაცვლა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან 49
5.1 სასკოლო დარღვევების ელექტრონული აღრიცხვა..... 49
5.2. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ინფორმაციის გაცვლა.... 54
5.3. სამართალდამცავი ორგანოების პირდაპირი
ინფორმირების ვალდებულება 57

6. ფსიქოსოციალური სამსახურის მუშაობა სკოლებში 69

7. სასკოლო კლიმატისთვის პოტენციურად საზიანო
სხვა საკანონმდებლო მიდგომები და პრაქტიკული გამოწვევები 76
7.1. ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება..... 76
7.2. მანდატურთა როტაციის გავლენა სასკოლო კლიმატზე 80
7.3. ბულინგთან დაკავშირებული ცალკეული გამოწვევები..... 84

შეჯამება და რეკომენდაციები..... 87

შესავალი

განათლების უფლება გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით,[1] ისე გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციით,[2] რომლის მიხედვითაც, განათლება ყოველი ბავშვის ფუნდამენტურ უფლებადაა მიჩნეული. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად კი, დაწყებითი და საბაზო განათლება ქვეყანაში სავალდებულოა, რითაც სახელმწიფო იღებს სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი სასკოლო განათლების შეთავაზების ვალდებულებას.[3] ხარისხიანი განათლების მიწოდების გარდა, სკოლა ცენტრალურ როლს ასრულებს ბავშვის ჩამოყალიბების პროცესში, მათ შორის, წვლილი შეაქვს მოსწავლის კრიტიკული აზროვნების განვითარების, არაძალადობრივი ქცევის მოდელებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზების სწავლების პროცესში.[4]

საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხო გარემოს შექმნა ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტია.[5] ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, ეს პრინციპი გულისხმობს სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრებისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, რომელზე პასუხისმგებლობასაც სკოლა იღებს.[6] ამ მიზნით, საჯარო სკოლებში 2010 წლიდან ინტეგრირებულია მანდატურის სამსახურიც.[7]

სასკოლო უსაფრთხოების საკითხი აქტუალობას პერიოდულულად იძენს. სამწუხაროდ, აღნიშნული თითქმის ყოველთვის დაკავშირე-

1 საქართველოს კონსტიტუცია, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

2 გაეროს 1989 წლის ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 28.

3 საქართველოს კონსტიტუცია, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

4 Office of the Special Representative of the Secretary-General on Violence Against Children, (2016), Tackling violence in Schools: A global perspective Bridging the gap between standards and practice, foreword.

5 საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3AAuXDN, წვდომის თარიღი: 31.03.2023.

6 იქვე, მე-9 მუხლის მე-9 პუნქტი.

7 იქვე.

ბულია სკოლაში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევასთან, რომელიც მეტწილად მოზარდთა შორის კონფლიქტის შედეგად დგება ხოლმე. აღსანიშნავია, რომ მსგავს შემთხვევებს ყოველთვის მოსდევს საზოგადოებრივი მღელვარება და საკითხის ნაკლებად აკადემიური განხილვა მედიასა თუ პოლიტიკურ ჯგუფებში. ხშირად გაისმის კრიტიკა სკოლაში ძალადობის პრევენციის საკითხზე სახელმწიფოს არაეფექტიანი მუშაობის შესახებ. არაა გასაკვირი, რომ მსგავსი ვნებათაღელვა მალევე წყდება და ხელახალ აქტუალობას მორიგი ტრაგიკული შემთხვევის დროს იძენს ხოლმე, სკოლაში უსაფრთხო გარემოს კუთხით არსებული გამოწვევების კრიტიკული გადააზრების გარეშე.

2021-2022 სასწავლო წლისთვის საქართველოს სკოლებში თითქმის 625 000 მოსწავლე სწავლობდა. ქვეყანაში მოქმედებდა 2308 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელთა 90% იყო საჯარო, ხოლო თითქმის 10% – კერძო. მითითებული პროპორციის შესაბამისია მოსწავლეთა განაწილებაც საჯარო (მოსწავლეთა 90%) და კერძო (მოსწავლეთა 10%) სკოლებში. 10 500-ზე მეტ მოსწავლეს მინიჭებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი. 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში ჯამში 8800-ზე მეტმა მოსწავლემ შეწყვიტა სწავლა, რაც აღემატება 2019/2020 და 2020/2021 სასწავლო წლის მონაცემებს, თუმცა საგრძნობლად ჩამორჩება უფრო ადრინდელ (2016/2017, 2017/2018 და 2018/2019) სასწავლო წლებში მოსწავლეთა მიერ სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელს.[8]

მითითებულ სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული იყო თითქმის 63 000 მასწავლებელი,[9] ხოლო საჯარო სკოლებში განაწილებული იყო 1600-ზე მეტი მანდატური.[10] 2022-2023 სასწავლო წლის მდგომარეობით, მანდატურის სამსახუ-

8 სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენგო, ხელმისაწვდომია https://bit.ly/3mLW9en, წვდომის თარიღი: 31.03.2023.

9 იქვე.

10 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 13.10.2022 წლის N MES 5 22 0001291300 წერილი.

რი წარმოდგენილია საქართველოს 690 საჯარო სკოლაში,[11] რითაც ქვეყანაში საჯარო სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტის 85%-ზე მეტს ფარავს.[12]

რაც შეეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითად ტენდენციებს, 2021 წელს 55 არასრულწლოვანი ცნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად,[13] ხოლო 2022 წელს – 43.[14] სისხლის სამართლის საქმეებზე არასრულწლოვანთა მსჯავრდების მაჩვენებელი შემდეგნაირია: 2021 წელს, ჯამში, 210 არასრულწლოვანის მიმართ გამოიტანეს გამამტყუნებელი განაჩენი,[15] ხოლო 2022 წელს 251 არასრულწლოვანი ცნეს დამნაშავედ.[16] გარდა ამისა, საქართველოს პროკურატურის ცნობით, 2021 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 251 არასრულწლოვანის მიმართ, ხოლო 363-ის სისხლის სამართლის საქმეზე განრიდების მექანიზმი გამოიყენეს.[17] აღსანიშნავია, რომ 2020 წელთან შედარებით, მცირედით (დაახლ. 5%) არის გაზრდილი არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე განრიდების გამოყენების მაჩვენებელი.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია სასკოლო უსაფრთხოების, კონკრეტულად კი სკოლაში უსაფრთხო გარემოს დამკვიდრებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, კანონქვემდებარე აქტებისა და პრაქტიკის შესწავლა. დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის (შემდგომში მანდატურის სამსახური), როგორც უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნაში ცენტრალური ფუნქციის მქონე ერთეულის საქმიანო-

11 საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JDmZgi, წვდომის თარიღი 31.03.2023.

12 ინტერვიუ მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოსა და ფსიქოსოციალური ცენტრის ხელმძღვანელებთან (ინტერვიუ 01).

13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.11.2022 წლის N პ-1272-22 წერილი.

14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.05.2023 წლის N პ-402-23 წერილი.

15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 01.11.2022 წლის N პ-1272-22 წერილი.

16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.05.2023 წლის N პ-402-23 წერილი.

17 საქართველოს პროკურატურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 30, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JAfgQ5, წვდომის თარიღი: 31.03.2023.

ბის ანალიზს. ამასთან, კვლევის ფარგლებში შეფასდებიან სასკოლო საზოგადოების ის აქტორები და კოლეგიური ორგანოები, რომლებიც ჩართულნი არიან სასკოლო უსაფრთხოების აღსრულების პროცესში. ყურადღება გამახვილდება უსაფრთხოების ინფრასტრუქტურაზეც, რომელიც, ძირითადად, ტექნოლოგიურ და სამეთვალყურეო საშუალებებს მოიცავს. ტექსტში გაანალიზებულია სასკოლო დარღვევების ტიპები, ასევე, უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის პროცესში პოლიციის ჭარბი როლი. საერთო ჯამში, დოკუმენტში შევეცდებით საქართველოში მოქმედი სასკოლო უსაფრთხოების მოდელის იდენტიფიცირებას და კრიტიკულ გააზრებას. იმედს ვიტოვებთ, რომ კვლევა მოემსახურება სკოლაში არსებული უსაფრთხოების გამოწვევების კუთხით ახალი ცოდნის შექმნას და ამ საკითხზე პროფესიონალთა და აკადემიური საზოგადოების წრეებს შორის დისკუსიის წახალისებას.

მეთოდოლოგია

დოკუმენტი ეყრდნობა როგორც ადგილობრივი კანონმდებლობისა და კონტექსტის ანალიზს, ისე აკადემიურ ლიტერატურასა და კვლევითი ჯგუფის მიერ ჩაღრმავებული ინტერვიუების საფუძველზე მოპოვებულ ინფორმაციას.

წარმოდგენილ კვლევაზე მუშაობის ფარგლებში გაანალიზდა ეროვნული კანონმდებლობა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სასკოლო უსაფრთხოების კუთხით არსებულ ნორმატიულ ჩარჩოზე. კვლევის გუნდმა დაამუშავა სასკოლო უსაფრთხოების საკითხზე შემუშავებული კვლევები და ანგარიშები, ასევე ეროვნული აკადემიური წყაროები.

დოკუმენტზე მუშაობისას შესწავლილ იქნა „უსაფრთხო სკოლის“ სხვადასხვა მოდელი. ამ მიზნით, დამუშავდა საერთაშორისო წყაროები, მათ შორის, აკადემიური ნაშრომები და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოები და გზამკვლევები. ცალკეული ყურადღება დაეთმო ამერიკულ გამოცდილებას, კერძოდ, სკოლებში სასკოლო რესურსის ოფიცრების დანერგვის პრაქტიკას, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენდა საქართველოში მანდატურის რეფორმის დაწყების ინსპირაციას.

ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა კვლევის ჯგუფის მიერ სასკოლო უსაფრთხოების პოლიტიკის დამგეგმავ და განმახორციელებელ რგოლებთან ინტერვიუები. კერძოდ, დოკუმენტზე მუშაობის ფარგლებში ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩაიწერა ცხრა რესპონდენტთან, მათ შორის: მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებთან, სკოლის მანდატურებთან, მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგებთან, სკოლის დირექტორთან, მასწავლებელსა და განათლების ექსპერტთან. ინტერვიუების მონაწილეებს, კერძოდ, სკოლის დირექტორს, მასწავლებელს, სკოლის მანდატურებსა და ფსიქოლოგებს მიეცათ ანონიმუ-

რობის გარანტია, შესაბამისად, მათი კომენტარები და მოსაზრებები კვლევაში მათი ვინაობის გამხელის გარეშეა მითითებული. კვლევის სხვა მონაწილეების მოსაზრებები მითითებულია მათი მაიდენტიფიცირებელი ნიშნებით.

კვლევის დამატებით წყაროს წარმოადგენდა საჯარო დაწესებულებებიდან, განსაკუთრებით კი მანდატურის სამსახურიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია. გარდა ამისა, კვლევის ჯგუფმა საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით დაამუშავა ცალკეული სტატისტიკური ინფორმაცია სკოლებში გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით.

დოკუმენტი მიზნად არ ისახავს კონკრეტულად მანდატურის სამსახურის მუშაობის ეფექტიანობის შეფასებას. მაგალითად, კვლევის ფარგლებში არ შეფასებულა მანდატურების ინსტიტუტის გავლენა სკოლაში სამართალდარღვევის ან დანაშაულის რაოდენობაზე, ან დინამიკაზე. აღნიშნული მიუთითებს, რომ არსებობს სივრცე დავიწროებული კვლევებისთვის, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება კონკრეტულად მანდატურის სამსახურის გავლენის შეფასება სასკოლო უსაფრთხოებასა თუ სკოლაში სამართალდარღვევისა და დანაშაულის მაჩვენებელზე. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში არ არის გაანალიზებული სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები. უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნის პროცესში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს სამოქალაქო განათლების კურიკულუმი და სახელმძღვანელო, რომელიც მოსწავლეთა ქცევისა და აზროვნების ჩამოყალიბებაზე ახდენს ზეგავლენას. წარმოდგენილი კვლევა არ მოიცავს არც თავად სახელმძღვანელოს შინაარსობრივი მხარის შეფასებას და არც სამოქალაქო განათლების საგნის გავლენას სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნის პროცესში.

ამასთანავე, კვლევა არ მოიცავს კერძო სკოლებში უსაფრთხოების საკითხის ანალიზს, რადგან განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის

დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში განათლების მინისტრის ბრძანება №06/ნ), მხოლოდ საჯარო სკოლებზე ვრცელდება. არსებული კანონმდებლობა კერძო სკოლებს უსაფრთხოების საკითხების მომწესრიგებელი ინდივიდუალური დოკუმენტის შემუშავების უფლებას უტოვებს, რის გამოც, აღნიშნული კვლევის მთავარ ფოკუსს საჯარო სკოლები წარმოადგენს.

ძირითადი მიგნებები:

- სასკოლო უსაფრთხოების არქიტექტურის ქართული მოდელი მეტწილად სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნის მოძველებულ მიდგომას ეყრდნობა, სადაც წამყვანი ადგილი ტექნოლოგიურ საშუალებებსა და სკოლაში მივლენილ უსაფრთხოების პერსონალს (სკოლის მანდატურს) უკავია, რომლებსაც მანდატურის სამსახური უწევს კოორდინაციას.

- სკოლაში დაფიქსირებული დარღვევები რუტინულად აღირიცხება ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში. დარღვევის განმარტება იმდენად ფართოა, რომ ისეთი გადაცდომებიც კი, როგორიცაა გაკვეთილზე დაგვიანება ან სასწავლო პროცესისთვის საჭირო ნივთის არქონა, ელექტრონულ პროგრამაში აღინუსხება. ამავე ბაზაში ფიქსირდება ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის მიერ მოსწავლეთათვის გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაცია, მათი სახელის, გვარისა და სხვა პირადი მონაცემების მითითებით.

- ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში შენახულ ინფორმაციაზე წვდომა აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც უფლებამოსილია მონაცემთა რეალურ დროში გაცნობასა და კოპირებაზე. გარდა ამისა, სკოლიდან პოლიციას ინფორმაცია მიეწოდება როგორც კანონმდებლობით პირდაპირ დადგენილი, ასევე კანონით გაუთვალისწინებელი საფუძვლის არსებობისას, რაც სასწავლო პროცესის მართვაში პოლიციის ჭარბი ჩართულობის რისკს აჩენს.

- სკოლაში გამოვლენილი დარღვევების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია მუშავდება არაერთგვაროვნად, რაც ხელს უშლის წლების მიხედვით დარღვევების რაოდენობის შედარებასა და გამოვლენილი ტენდენციების იდენტიფიცირებას.

- მოსწავლის დარღვევებისა და პოლიციის ინფორმირების საფუძვლების ჩამონათვალში ვხვდებით ბუნდოვან და ორაზროვან დასახელებებს, რაც ართულებს დარღვევის რეალური შინაარსის იდენტიფიცირებას და შესაბამისად, ზრდის რეაგირების არაპროპორციული ზომების გამოყენების რისკს.

- ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში დაფიქსირებული დარღვევები მოსწავლის სტატუსის ვადით ინახება. შესაბამისად, მოსწავლესთან დაკავშირებული მრავალფეროვანი პერსონალური ინფორმაცია წლების მანძილზეა ხელმისაწვდომი მანდატურის სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის. აღნიშნული წარმოშობს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების არაპროპორციული მოცულობით დამუშავების საფრთხეს.

- საჯარო სკოლებში წესრიგის დაცვაზე მონიტორინგის მიზნით ჭარბადაა ინტეგრირებული ელექტრონული საშუალებები. ვიდეოსამეთვალყურეო კამერები და მეტალოდეტექტორი ის ძირითადი ელექტრონული საშუალებებია, რომელთაც სახელმწიფო სასკოლო ძალადობის ან დარღვევების პრევენციის მიზნით იყენებს. თუმცა, ჯერჯერობით, არ არსებობს სკოლის ტერიტორიაზე ძალადობისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო დარღვევების რაოდენობაზე ტექნოლოგიური საშუალებების გავლენის შეფასების კვლევა.

- სკოლის მანდატურთა როტაციას რუტინული სახე აქვს და 2022 წელს თითქმის ყოველი მესამე მანდატური დაექვემდებარა ადგილმონაცვლეობას, რაც კრიტიკულად უნდა შეფასდეს. სისტემატური როტაციის პრაქტიკა ადასტურებს, რომ მანდატურის სკოლაში გატარებული დრო და ინტეგრაციის ხარისხი ავტომატურად არასასურველ მოვლენად მიიჩნევა და სწორედ ეს ხდება მისი როტაციის საფუძველი.

1. უსაფრთხო სკოლის კონცეფცია

არაერთი კვლევა და ანგარიში მიუთითებს, რომ სკოლის მოსწავლეებსა და სასკოლო ასაკის ბავშვებში ძალადობა მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.[18] გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) 2018 წლის კვლევის თანახმად, 13-15 წლამდე მოსწავლეთა დაახლოებით ნახევარს, 150 მილიონ ბავშვს, სკოლაში ან სკოლის მიმდებარედ თანატოლების მხრიდან განუცდია ძალადობა.[19] იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა თანატოლებს შორის ძალადობის ან სხვაგვარი ანტისოციალური ქცევის გამოვლენის ერთ-ერთ მთავარ ადგილს წარმოადგენს, დანაშაულის პრევენციისა და ჯანსაღი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, შემუშავდა უსაფრთხო სკოლის მოდელები. აკადემიურ ლიტერატურაში ხშირად ისმება კითხვა – არის კი უსაფრთხო ის სკოლა, სადაც დაცვისა თუ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები პატრულირებენ სკოლის დერეფნებში, შესასვლელები მეტალის დეტექტორებით კონტროლდება, ხოლო ძალადობრივი აქტები დაუყოვნებლივ ეცნობება პოლიციას? თუ ის სკოლაა უსაფრთხო, სადაც ერთი შეხედვით სიმშვიდე სუფევს, თუმცა მოსწავლეთა შორის იგრძნობა „სტატუსის“ მიხედვით დაყოფა ან, სადაც მიღებულია ხუმრობით შენიღბული ფიზიკური ძალადობა, რომლის ადმინისტრაციისადმი შეტყობინებაც არ ხდება?[20] არ არსებობს უსაფრთხო სკოლის კონცეფციის ერთი კონკრეტული განმარტება, ვინაიდან სკოლაში უსაფრთხო გარემოს დამკვიდრება მეტია, ვიდრე ფიზიკური თუ სხვა სახის ძალადობის შემცირება.[21] თუმცა შესაძლებელია ამ მოდელის ძირითადი ელემენტების იდენტიფიცირება. კერძოდ, უსაფრთხოა სკოლა,

18 A global initiative working to end all forms of violence against children in and through school: https://bit.ly/3obdrBV, ასევე იხილეთ: World Vision, (2020), „OUR research, OUR rights: Ending violence against children through the lens of child researchers from Bosnia and Herzegovina, Brazil, Indonesia, Nicaragua, Romania and Sierra Leone; Pinheiro, Paulo Sérgio, (2006), UN World Report on Violence Against Children, p. 138; Office of the Special Representative of the Secretary-General on Violence Against Children, (2016), Ending the Torment: Tackling bullying from the schoolyard to cyberspace, p. 101.

19 UNICEF (2018), An everyday lesson, End Violence in schools, p. 3.

20 Bucher, K. T., & Manning, M. L. (2005). Creating safe schools. The Clearing House: A Journal of Educational Strategies, Issues and Ideas, 79 (1), 55-60., p. 56.

21 Ibid.

სადაც გარანტირებულია მოსწავლის ჯანმრთელობა, დაცულობა და უსაფრთხოება, როგორც სკოლის ყოველდღიური საქმიანობის, ისე ფორსმაჟორის დროს. უსაფრთხო სკოლის მთავარი მახასიათებელია მისი უნარი, უზრუნველყოს მოსწავლისთვის ფიზიკურად, ემოციურად და კოგნიტიურად დაცული სივრცის შექმნა და სტრუქტურული და ინსტიტუციური მედეგობის გზით თავი გაართვას სასკოლო პროცესში წარმოქმნილ გამოწვევებს.[22]

უსაფრთხო სკოლის იდეა ერთდროულად ფიზიკური და არაფიზიკური ძალადობისგან დაცული გარემოს უზრუნველყოფას გულისხმობს. გამოყოფენ არაფიზიკური ძალადობის სამ სახეს: ემოციურ, ფსიქოლოგიურ და ინტელექტუალურ ძალადობას.[23] გარდა ამისა, ზოგიერთი სახის ძალადობა (მაგ. სექსუალური) მოიცავს როგორც ფიზიკური, ისე არაფიზიკური ძალადობის კომპონენტებს.[24] ამავე კონტექსტში შემოდის „ფსიქოლოგიური კეთილდღეობის“ ცნებაც და მისი მნიშვნელობა, რომელიც აღიწერება, როგორც კმაყოფილება, ბედნიერება და სირთულეებთან გამკლავების უნარი.[25]

თანამედროვე მიდგომით, უსაფრთხო სკოლის მოდელი უფრო ფართოდაც განიმარტება და მოსწავლისთვის სახლის კარიდან სკოლის მერხამდე დაცული გარემოს შეთავაზებას გულისხმობს.[26] აქვე აღსანიშნავია, რომ სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზანი სცდება მოსწავლის მხოლოდ ფიზიკური და ემოციური დაცულობის ინტერესებს. უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფამ დადებითი გა-

22 UNESCO, International Institute for Capacity-Building in Africa, (2017). School Safety Manual – Tools for teachers, p. 6., ასევე იხილეთ: სოფიო გორგოძე, უსაფრთხო სკოლა და საერთაშორისო გამოცდილება, კრებულში უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, (2011), გვ. 17.

23 სოფიო გორგოძე, უსაფრთხო სკოლა და საერთაშორისო გამოცდილება, კრებულში უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, (2011), გვ. 17.

24 იქვე.

25 დეტალურად იხ.: ნინო ლაბარტყავა, ქეთევან ოსიაშვილი და სხვები, უსაფრთხო სკოლა – მასწავლებლის წიგნი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018, გვ. 7-8.

26 UNICEF, (2018-2020), Manual on comprehensive school safety and security programme (CSSSP), Training module was developed under Child-Centered DRR programme, p. 9.

ვლენა უნდა მოახდინოს მოსწავლეთა ქცევაზე, კეთილდღეობაზე, მათ აკადემიურ მოსწრებასა და, ასევე, დისციპლინური სახდელებისა თუ სკოლიდან გარიცხვის სტატისტიკაზე.[27] პროფესიული ლიტერატურის მიხედვით, სკოლაში უსაფრთხო და დაცული გარემო უნდა შეიქმნას კონკრეტული ნორმების, მიზნებისა და ღირებულებების დამკვიდრების გზით, რომლის მიზანიცაა სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნა, მათ შორის დემოკრატიული მართვის მოდელების დანერგვა.[28]

1.1. უსაფრთხო სკოლის მოდელები:

უსაფრთხო სკოლის კონცეფცია არ მოიცავს მხოლოდ ძალადობის ან დანაშაულის პრევენციას და მოსწავლეთა ფიზიკურ და ემოციურ კეთილდღეობაზე ზრუნვას, ასევე, არ მიემართება მხოლოდ მოსწავლეთა ქცევას. სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნა გულისხმობს სასკოლო ცხოვრების თითოეული ასპექტის მოწესრიგებას და ერთიან ჩარჩოში მოქცევას.[29]

თუმცა სკოლაში უსაფრთხო გარემოზე მსჯელობისას საკითხი მეტწილად მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოებისა და ძალადობისგან დაცულობის თემებამდე ვიწროვდება, ვინაიდან აღნიშნული მეტად ხილულ გამოწვევას წარმოადგენს. შესაბამისად, შემუშავებული დოკუმენტის ფარგლებშიც უფრო დეტალური ყურადღება ამ უკანასკნელს ეთმობა.

27 UNESCO, International Institute for Capacity-Building in Africa, (2017). School Safety Manual – Tools for teachers, p. 9.

28 Ibid; ასევე იხილეთ: Thapa, A., Cohen, J., Guffey, S., & Higgins-D'Alessandro, A. (2013). A review of school climate research. Review of educational research, 83(3), 357-385, p. 1-2.

29 ასეთია სკოლისა და საკლასო ოთახების, ფიზიკური აქტივობებისთვის განკუთვნილი სივრცეების, სკოლამდე მისასვლელი გზის, სკოლის გარშემო ტერიტორიის, ექსკურსიების უსაფრთხოება; ასევე, სკოლაში გადაუდებელი ან კრიზისული სიტუაციების დროს მოქმედების პროტოკოლის არსებობა, ჰაერის, წყლის, საკვების უსაფრთხოების კონტროლი, სასკოლო ჯანდაცვა და ასე შემდეგ, მაგალითისთვის იხილეთ: Department for Education, Guidance, Health and safety responsibilities and duties for schools (2022); ასევე იხილიეთ: Frumkin, H., Geller, R. J., Rubin, I. L., & Nodvin, J. (Eds.). (2006). Safe and healthy school environments. Oxford University Press.

აკადემიურ ლიტერატურაში გამოყოფენ უსაფრთხო სკოლის ორ ძირითად მოდელს:

- პირველი, რომელიც შეგვიძლია, მოვიხსენიოთ, როგორც პროდუქტზე დაფუძნებული მოდელი,[30] სკოლაში უსაფრთხოების მიღწევის საშუალებად სკოლის პერიმეტრზე ვიზუალურ-ტექნოლოგიურ მეთვალყურეობას, კონტროლსა და დისციპლინურ სახდელს მიიჩნევს.

- ხოლო მეორე, უფრო თანამედროვე მიდგომა სკოლაში უსაფრთხოების დამკვიდრების საშუალებად პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნას ანიჭებს უპირატესობას. ეს მოდელი არა დისციპლინაზე მთავარი აქცენტით, არამედ სასკოლო საზოგადოების (დირექციის, მასწავლებლების, სკოლის ტექნიკური პერსონალის, სკოლის ფსიქოსოციალური პერსონალის, მოსწავლეების, მშობლების, სამეზობლოს) თითოეული რგოლის გუნდური მუშაობით ცდილობს სკოლაში ანტისოციალური ქცევის პრევენციას.[31] ამგვარ მიდგომას აკადემიურ წყაროებში პროცესზე დაფუძნებული უსაფრთხოების კონცეფციის სახელით მოიხსენიებენ.[32]

აქვე ცალკე უნდა გამოიყოს სკოლაში გარემოზე დაფუძნებული[33] პრევენციული მიდგომის როლი, რომელიც თავის თავში ზედა ორ მიდგომას აერთიანებს, თუმცა სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მთავარ მექანიზმად სკოლის არქიტექტურულ და ინფრასტრუქტურულ გამჭვირვალობაზე სვამს აქცენტს.

30 Bucher, K. T., & Manning, M. L. (2005). Creating safe schools. The Clearing House: A Journal of Educational Strategies, Issues and Ideas, 79 (1), 55-60., p. 58, იხ. ასევე: სოფიო გორგოძე, უსაფრთხო სკოლა და საერთაშორისო გამოცდილება, კრებულში უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, (2011), გვ. 21.

31 Bucher, K. T., & Manning, M. L. (2005). Creating safe schools. The Clearing House: A Journal of Educational Strategies, Issues and Ideas, 79(1), 55-60., p. 56.

32 Ibid. 58, ასევე იხილეთ: სოფიო გორგოძე, უსაფრთხო სკოლა და საერთაშორისო გამოცდილება, კრებულში უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, (2011), გვ. 21.

33 Frumkin, H., Geller, R. J., Rubin, I. L., & Nodvin, J. (Eds.). (2006). Safe and healthy school environments. Oxford University Press, p. 253.

1.1.1. პროდუქტზე დაფუძნებული უსაფრთხოების მოდელი

როგორც აღინიშნა, პროდუქტზე დაფუძნებული უსაფრთხოების მოდელი ყურადღებას სკოლის ტერიტორიაზე დისციპლინის დამყარებაზე ამახვილებს და სკოლაში უსაფრთხოების მიღწევის საშუალებად ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმებს მიიჩნევს.[34] ამ მიდგომის მიხედვით, სკოლაში ანტისოციალური ან დანაშაულებრივი ქცევის პრევენციას უსაფრთხოების სტრუქტურირებული არქიტექტურის საშუალებით უნდა მიაღწიონ. ამ არქიტექტურის ნაწილად მიიჩნევა სკოლაში ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების, უსაფრთხოების პერსონალის, მეტალოდეტექტორებისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების ელექტრონული სისტემების დანერგვა.[35] აღსანიშნავია, რომ სასკოლო უსაფრთხოების ეს მიდგომა იმეორებს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის ლოგიკას, შესაბამისად, ისმის კრიტიკა მისი აღსრულების მეთოდებთან დაკავშირებით.[36] უსაფრთხოების ფილოსოფიით სკოლის მართვა, სხვა მახასიათებლებთან ერთად, გულისხმობს მკაცრ და სავალდებულო დისციპლინურ სახდელებს, როგორიცაა მოსწავლის დროებითი დათხოვნა ან სკოლიდან გარიცხვა, რაც კარგი დისციპლინის ბავშვის მიერ გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში ზედმეტად მკაცრი სანქციაა, ხოლო პრობლემური ქცევის მქონე მოსწავლის მიმართ, რომელსაც უფრო მეტად მხარდაჭერა სჭირდება, მკაცრი სანქციები არათუ ამცირებს მის მიერ ანტისოციალური ქცევის დაძლევის ალბათობას, პირიქით, ამძაფრებს არასასურველი ქცევის ჩამოყალიბების რისკს და საფრთხეს უქმნის მოსწავლესა და მასწავლებელს შორის პოზიტიური ურთიერთობის შენარჩუნებას.[37] ამასთან, მოსწავლე, რომელიც მისი ქცევის გამო აღარ დაიშვება

34 Bucher, K. T., & Manning, M. L. (2005). Creating safe schools. The Clearing House: A Journal of Educational Strategies, Issues and Ideas, 79 (1), 55-60., p. 58.

35 Ibid, ასევ იხილეთ: სოფიო გორგოძე, უსაფრთხო სკოლა და საერთაშორისო გამოცდილება, კრებულში უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, (2011), გვ. 21.

36 Ibid.

37 Frumkin, H., Geller, R. J., Rubin, I. L., & Nodvin, J. (Eds.). (2006). Safe and healthy school environments. Oxford University Press, p. 264; ასევე, იხილეთ: Bucher, K. T., & Manning, M. L. (2005). Creating safe schools. The Clearing House: A Journal of Educational Strategies, Issues and Ideas, 79 (1), 55-60., p. 58.

სკოლაში, იმყოფება სკოლის პერსონალის დაკვირვების მიღმა, რაც სკოლას ართმევს მისი მხარდაჭერისა და პოზიტიურად გარდაქმნის შესაძლებლობას.[38] აქედან გამომდინარე, მიიჩნევა, რომ პროდუქტზე დაფუძნებული უსაფრთხოების კონცეფცია სკოლაში არ ზრდის დაცულობის შეგრძნებას. პირიქით, ის აუარესებს სასკოლო კლიმატს და ხელს უწყობს მოსწავლეთა სასკოლო სივრცისგან გაუცხოებას, ვინაიდან ეს უკანასკნელი აღიქმება ზედამხედველობისა და კონტროლის სივრცედ.[39]

1.1.2. პროცესზე დაფუძნებული უსაფრთხოების მოდელი

მეორე, უფრო თანამედროვე მოდელის მიხედვით, როგორც უსაფრთხო გარემოს დამკვიდრებას, ისე მოსწავლეთა ქცევის ჩამოყალიბებას, ძირითადად, სკოლაში პოზიტიური კლიმატის არსებობა განაპირობებს. უსაფრთხო სკოლის ეს მიდგომა შეგვიძლია, მოვიხსენიოთ, როგორც პროცესზე დაფუძნებული უსაფრთხოების მოდელი.[40] აღნიშნული მიდგომა სასკოლო საზოგადოების სწავლისა და თანაარსებობის პროცესში პოზიტიური გარდაქმნის, შესაბამისად, ჯანსაღი სასკოლო კლიმატის მიღწევას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, სკოლაში ძალადობისა და ანტისოციალური ქმედებების აღმოფხვრას არა მოკლევადიანი, შედეგებზე ორიენტირებული ხისტი ინტერვენციებით, არამედ მომავალზე მიმართული ცვლილებების ხელშეწყობითა და სკოლაში პოზიტიური კლიმატის შექმნის გზით ცდილობს. პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად, არაერთი სხვადასხვა მეთოდი დაინერგა, რომელთაგან, ყველაზე ხშირად აპრობირებული, ეგრეთ

38 Frumkin, H., Geller, R. J., Rubin, I. L., & Nodvin, J. (Eds.). (2006). Safe and healthy school environments. Oxford University Press, p. 264.

39 სოფიო გორგოძე, უსაფრთხო სკოლა და საერთაშორისო გამოცდილება, კრებულში უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, (2011), გვ. 21. იხ. ასევე: Frumkin, H., Geller, R. J., Rubin, I. L., & Nodvin, J. (Eds.). (2006). Safe and healthy school environments. Oxford University Press, p. 264.

40 Bucher, K. T., & Manning, M. L. (2005). Creating safe schools. The Clearing House: A Journal of Educational Strategies, Issues and Ideas, 79 (1), 55-60., p. 58; ასევე იხილეთ: სოფიო გორგოძე, უსაფრთხო სკოლა და საერთაშორისო გამოცდილება, კრებულში უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, (2011), გვ. 21.

წოდებული „ერთიანი-სკოლის მიდგომაა“ (whole-school approach). ამ მიდგომით, სრული სასკოლო საზოგადოება იზიარებს სკოლაში ძალადობის შემცირების საერთო მიზანს და შესაბამისად, სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, სკოლის ტექნიკური პერსონალი, სამედიცინო პერსონალი და მიმდებარე სამეზობლო/თემი მზად არიან, გაერთიანდნენ დასახული მიზნების მისაღწევად.[41] აღნიშნული მოდელის მიხედვით, სკოლაში ძალადობის შემცირებისა და პრევენციისკენ მიმართული პროგრამები მოქმედებს მთელი სკოლის დონეზე, პროაქტიულად, ყველა აქტორის ჩართულობით და სწორედ ამით განსხვავდება პროდუქტზე დაფუძნებული მიდგომისგან, რომელიც ძალადობისკენ მიდრეკილი ან ანტისოციალურ ქმედებაში შემჩნეული მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სანქცირების მეთოდებს ითვალისწინებს და ამიტომ უფრო რეაქციულია.[42] შესაბამისად, თანამედროვე მიდგომების მიხედვით, სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნა წარმოადგენს ერთიან, უწყვეტ პროცესს, რომელიც მიმართულია სკოლაში პოზიტიური კლიმატის შექმნისკენ.

სკოლაში პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებს ჰქონდეთ საჭირო ცოდნა და უნარები, რათა შეძლონ დისციპლინის პოზიტიური მეთოდებით დამყარება, როგორიცაა კონსტრუქციული კრიტიკა და მკაფიო ქცევის წესების განსაზღვრა. საამისოდ აუცილებელია მასწავლებელთა გაძლიერება ალტერნატიული დისციპლინის მეთოდების სწავლების კუთხით. მასწავლებლები, რომლებიც თავად პროსოციალური, კონსტრუქციული სწავლების მეთოდებით არიან აღჭურვილნი, ზრდიან მოსწავლეთა მედეგობასა და ცხოვრებისეულ სირთულეებთან ალტერნატიული მეთოდებით გამკლავების უნარს.[43]

41 World Health Organization (2019), School-based violence prevention, a practical handbook, p. 3; იხ. ასევე: Office of the Special Representative of the Secretary-General on Violence Against Children, (2016), Tackling violence in Schools: A global perspective Bridging the gap between standards and practice p. 16.

42 Bucher, K. T., & Manning, M. L. (2005). Creating safe schools. The Clearing House: A Journal of Educational Strategies, Issues and Ideas, 79 (1), 55-60., p. 58.

43 UNESCO International Institute for Capacity-Building in Africa, (2017), School Safety Manual – Tools for teachers, p. 19.

ნიშანდობლივია, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნა მიზნად არ ისახავს მხოლოდ სასკოლო ძალადობასთან გამკლავებას. 2013 წლის კვლევის (Thapa et al.) მიხედვით, სკოლის კლიმატი მნიშვნელოვნად აისახება მოსწავლის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, თვითშეფასებაზე, თვითკრიტიკაზე. სკოლაში პოზიტიური და ჯანსაღი სოციოეკონომიკური კლიმატი კავშირშია მოსწავლის მიერ არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენებასა და ფსიქიკურ პრობლემებთან. უფრო კონკრეტულად კი, კვლევები აჩვენებს, რომ პოზიტიური სასკოლო ატმოსფეროს არსებობა ამცირებს მოსწავლეებში ნარკოტიკების მოხმარებას, სკოლის ხშირ გაცდენას. მეტიც, პოზიტიური კლიმატი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აკადემიურ მოსწრებაზე, მოსწავლის მოტივაციის ზრდის გზით, ასევე, ამცირებს მოსწავლის სოციოეკონომიკური სიძნელეების გავლენას სასწავლო პროცესზე, ხელს უწყობს აგრესისა და ძალადობის შემცირებას და წარმოადგენს დამცავ ფაქტორს, სწავლისა და ცხოვრების პოზიტიურად წარმართვის კუთხით, ამასთან, დადებითად მოქმედებს მასწავლებლების თვითეფექტიანობის განცდაზე, მათ თავდაჯერებულობასა და სწავლებისადმი ერთგულებაზე.[44]

ამავდროულად, პოზიტიური კლიმატის შექმნა არ გამორიცხავს და, პირიქით, მოითხოვს სკოლაში კონკრეტული წესების და ამ წესების დარღვევის შემთხვევაში, მოსალოდნელი საპასუხო რეაქციის არსებობას.[45] აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ წესების დარღვევაზე საპასუხო რეაქცია მიზნად არ უნდა ისახავდეს დარღვევის ჩამდენი პირის დასჯას და უპირველეს ყოვლისა, სკოლა უნდა ეცადოს აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპების გამოყენებას, რომლის დროსაც ყურადღება ზიანის აღმოფხვრა-გამოსწორებაზე იქნება მიმართული.[46] მიუხედავად ამისა, წესებისა და პოტენციური საპასუხო რეაქციის არსებობა, სკოლაში სამართლი-

44 Thapa, A., Cohen, J., Guffey, S., & Higgins-D'Alessandro, A. (2013). A review of school climate research. Review of educational research, 83(3), 357-385, p. 4., იხ. ასევე: სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა TALIS 2018, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2020, გვ. 152, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3a8yHBR, წვდომის თარიღი: 31.03.2023.

45 World Health Organization (2019), School-based violence prevention: a practical handbook, p. 42. იხ. ასევე: Thapa, A., Cohen, J., Guffey, S., & Higgins-D'Alessandro, A. (2013). A review of school climate research. Review of educational research, 83(3), 357-385, p. 6.

46 Ibid.

ანობისა და ერთიანი მიდგომის დამკვიდრების მიზნებს ემსახურება. კვლევა აჩვენებს, რომ ის სკოლები, რომლებშიც წესების აღსრულება ეფექტიანად ხდება და სასკოლო დისციპლინის მართვა წარმატებულად მიმდინარეობს, მოსწავლეთა ვიქტიმიზებისა და დანაშაულის ჩადენის მაჩვენებლები შედარებით დაბალია.[47]

1.1.3. გარემოზე დაფუძნებული პრევენციული მიდგომა

აკადემიური ლიტერატურის თანახმად, გარემოზე დაფუძნებულ პრევენციულ მიდგომას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია სკოლაში ჯანსაღი გარემოს შექმნის თვალსაზრისით.[48] აღნიშნული მიდგომა ყურადღებას ამახვილებს სკოლის არქიტექტურაზე, ინფრასტრუქტურაზე, ხილვადობასა და ფორმალური კონტროლის გავრცელებაზე. პროდუქტზე დაფუძნებული მოდელისგან განსხვავებით, რომელიც დისციპლინის დამყარებისა და დანაშაულის პრევენციის მიღწევის საშუალებად ტექნოლოგიებსა და უსაფრთხოების პერსონალს განიხილავს, გარემოზე დაფუძნებული მოდელი სკოლის არქიტექტურულ და ინფრასტრუქტურულ მოწყობაზე ამახვილებს ყურადღებას. აღნიშნული გულისხმობს სკოლის სრულ ტერიტორიაზე ბუნებრივი ვიზუალური მეთვალყურეობის შესაძლებლობას. მაგალითისთვის, სკოლის შესასვლელების ხილვადობას სკოლის შენობის სხვადასხვა წერტილიდან, სკოლაში ან სკოლის გარეთ ისეთი ბუნებრივი თუ ხელოვნური ბარიერების (ხის, ბუჩქის, ტიხრის) აღმოფხვრას, რომლებიც ვიზუალურ მეთვალყურეობას აბრკოლებს. ხილვადობა და ღიაობა შესაძლოა იქცეს კრიმინალური ან ანტისოციალური აქტის პრევენციის მნიშვნელოვან მექანიზმად. მოსწავლეები, დიდი ალბათობით, თავს შეიკავებენ არასასურველი ქცევისგან, თუკი ეცოდინებათ, რომ მათ შეიძლება აკვირდებოდნენ.[49]

47 Thapa, A., Cohen, J., Guffey, S., & Higgins-D'Alessandro, A. (2013). A review of school climate research. Review of educational research, 83(3), 357-385 p. 6.

48 Frumkin, H., Geller, R. J., Rubin, I. L., & Nodvin, J. (Eds.). (2006). Safe and healthy school environments. Oxford University Press.

49 Ibid, p. 255.

გარდა არქიტექტურული კრიტერიუმისა, მოდელი ყურადღებას ამახვილებს ტერიტორიის მკაცრად განსაზღვრულობის საკითხზე. სკოლის პერიმეტრი უნდა იყოს მკაფიოდ მონიშნული, რაც ეხმარება სკოლას იმის წარმოჩენაში, რომ ამ ტერიტორიაზე ვრცელდება მისი იურისდიქცია. ეს მოდელი ასევე გულისხმობს სკოლაში შესასვლელი და გასასვლელი კარების ზედმიწევნით კონტროლს, შემსვლელ-გამსვლელი ვიზიტორების აღრიცხვას და ა.შ.[50] სკოლის შენობისა და ეზოს გარდა, გარემოზე დაფუძნებული მოდელი ითვალისწინებს სკოლამდე მისასვლელი გზის კეთილმოწყობის საკითხს. უნდა უზრუნველყონ, რომ სკოლისკენ მიმავალ გზაზე არ იყოს არასასურველი შინაარსის ქუჩის „გრაფიტი“ ან, არსებობის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი თავად მოსწავლეთა მიერ შექმნილი პოზიტიური შეტყობინების მქონე ნამუშევრებით ჩანაცვლდეს. ამასთან, ამ მოდელის მიხედვით, სკოლის შენობასა და მის გარშემო არ უნდა არსებობდეს ე.წ უხილავი სივრცეები,[51] სადაც მოსწავლეთა თავშეყრისა და არასასურველ ქცევაში ჩართვის მომეტებული საფრთხეა. განსაკუთრებით პროგრესულად მიიჩნევა გარემოზე დაფუძნებული პრევენციის მოდელის გვიანდელი ფორმა, რომელიც დაცულ ფიზიკურ გარემოსთან ერთად, სკოლაში პოზიტიური კლიმატის არსებობაზე ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, თანაბარი პრიორიტეტულობით აყენებს სკოლაში პოზიტიური კლიმატისა და დაცული გარემოს საკითხს. მაგალითად, იღებს თუ არა მოსწავლე ხარისხიან განათლებას, როგორია სკოლის ფუნქციონირების მოდელი, როგორც აკადემიურად, ისე სოციალურად. როგორ აფასებენ მოსწავლეები თავიანთ როლსა და მიკუთვნებულობას სასკოლო თანაცხოვრებაში, მიიჩნევენ თუ არა, რომ იღებენ რელევანტურ განათლებას და ეუფლებიან საჭირო უნარებს.[52] აღსანიშნავია, რომ UNICEF-ის მიერ შექმნილი გზამკვლევი – მეგობრული სკოლა – სწორედ გარემოზე დაფუძნებული პრევენციის პრინციპებს ეყრდნობა, როგორიცაა: სკოლის არქიტექტურა და დიზაინი, გამჭვირვალობა,

50 Ibid p. 257.

51 Ibid. pp. 258-259.

52 Frumkin, H., Geller, R. J., Rubin, I. L., & Nodvin, J. (Eds.). (2006). Safe and healthy school environments. Oxford University Press, p. 264.

ინფრასტრუქტურა, უხილავი სივრცეების არარსებობა, სკოლის შემოსაზღვრულობა და ა.შ.[53]

გვიანდელი მოდელის მიხედვით, სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული ისეთი რისკფაქტორების იდენტიფიცირება, როგორიცაა ხშირი ანტისოციალური ქცევა, მოსწავლის ადრეული აკადემიური გამოწვევები, სკოლისადმი არაგულისხმიერი მიდგომა და სხვა. ასეთი შემთხვევებისთვის სკოლას შემუშავებული უნდა ჰქონდეს ინტერვენციისა და პრობლემასთან გამკლავების სრულყოფილი გეგმა. გეგმა, სიტუაციის შესაბამისად, განსხვავებული შეიძლება იყოს და მოიცავდეს პრობლემის მოგვარების მშვიდობიანი გზების სწავლებას, მოსწავლის ჯგუფურ პროექტში ჩართვას, სასკოლო კვლევის მომზადების დავალებას. მთავარია, მოსწავლეს შეექმნას განცდა, რომ სასკოლო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.[54] გარემოზე დაფუძნებული პრევენციისა და სასკოლო უსაფრთხოების გვიანდელი მიდგომა ყურადღებას ამახვილებს სკოლაში მხარდაჭერის, ურთიერთპატივისცემისა და პოზიტიური კლიმატის შექმნაზე იმისათვის, რომ სკოლაში ტრადიციული უსაფრთხოების ზომების გამოყენების საჭიროება აღარ არსებობდეს.[55]

რომ შევაჯამოთ, თანამედროვე მიდგომები ეყრდნობა უსაფრთხო სკოლის მრავალკომპონენტიან, მრავალსექტორულ, „ერთიანი სკოლის მიდგომას“, რომელშიც უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნის პროცესი სხვადასხვა აქტორის ჩართულობაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, უსაფრთხოება უფრო ფართოდ, სკოლისა და კლასის კლიმატის შემადგენელ კომპონენტად განიხილება (მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობებსა და დისციპლინასთან ერთად).[56] ამით თა-

53 Unicef, (2009), Child-friendly schools' manual, Chapter 3.

54 Frumkin, H., Geller, R. J., Rubin, I. L., & Nodvin, J. (Eds.). (2006). Safe and healthy school environments. Oxford University Press p. 265.

55 Ibid, p. 267.

56 სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა TALIS 2018, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, (2020), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3a8yHBR, წვდომის თარიღი: 31.03.2023.

ნამედროვე მიდგომები განსხვავდება სკოლაში უსაფრთხოების მიღწევის ადრინდელი საშუალებებისგან, როდესაც სკოლაში უსაფრთხო გარემოს მიღწევა უსაფრთხოების ინფრასტრუქტურით და პერსონალით, სანქციებითა და მკაცრი დისციპლინის დანერგვით განიხილებოდა. უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველსაყოფად სკოლამ უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე ძირითადი ფაქტორი: სკოლის შენობის არქიტექტურული და ინფრასტრუქტურული მოწყობის საკითხები, სკოლის ტერიტორიის ხილვადობისა და გამჭვირვალობისთვის; პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნა, დაფუძნებული მოსწავლეთა თანამონაწილეობასა და თანასწორობაზე; სასკოლო საზოგადოების სკოლის მართვაში ჩართვის მექანიზმები, ქცევის მკაფიო წესების შედგენა და სკოლის ყველა რგოლის ინფორმირება; პროსოციალური სწავლების მეთოდების დანერგვა და ამ მიზნით მასწავლებელთა მხარდაჭერა.

2. სასკოლო უსაფრთხოების არქიტექტურა საქართველოში

საქართველოს საჯარო სკოლებში უსაფრთხოების დაცვის მომწესრიგებელი მთავარი საკანონმდებლო აქტია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში განათლების მინისტრის №06/ნ ბრძანება) და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი.[57] გარდა მითითებული ნორმატიული აქტებისა, სასკოლო უსაფრთხოების საკითხებს არეგულირებს განათლების მინისტრის, მანდატურის სამსახურის უფროსისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ მიღებული ბრძანებები და პოლიტიკის დოკუმენტები.[58]

საქართველოში არსებული საკანონმდებლო და პოლიტიკის მიდგომების გათვალისწინებით, სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მთავარი რგოლი მანდატურის სამსახურია (საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სახით). მანდატურის სამსახურის მიზანი არ არის მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა. მანდატურის სამსახურის დებულების მიხედვით, სამსახურის მიზანია საჯარო სკოლების ტერიტორიაზე, სასკოლო დროს, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

57 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3PbIc1Q; საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/40M68yT; წვდომის თარიღი: 31.03.2023.

58 მაგ.: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №141/ნ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3G83QIN, ასევე იხილეთ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს შორის კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება №40/ნ / №18, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3FOGBNd, წვდომის თარიღი: 31.03.2023.

შექმნა.[59] ეს გარემო უნდა ეფუძნებოდეს, *„პატივისცემაზე დამყარებულ ურთიერთობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური საჭიროებები და დაცულია სასწავლო პროცესში ჩართული ყველა სუბიექტის უფლებები“.*[60] გაცხადებული მიზნების თანახმად, მანდატურის სამსახურის საქმიანობა უპირველესად მიმართული უნდა იყოს ზრუნვასა და პრევენციაზე.[61] ამდენად, ნორმატიული და გაცხადებული პოლიტიკის დონეზე ეს მიდგომა, ზოგადად, ეხმაურება უსაფრთხო სკოლის კონცეფციის დამკვიდრებულ გაგებას, რომელიც როგორც ფიზიკურ, ისე ემოციურ უსაფრთხოებას მოიცავს.[62]

მანდატურის ფუნქციებმა და როლმა, მისი ჩამოყალიბებიდან დღემდე, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა (ამ საკითხს დეტალურად მიმოვიხილავთ III თავში – მანდატურის სამსახურის ისტორია). დღესდღეობით, მანდატურს ევალება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი დანაშაულისა და კონფლიქტური სიტუაციების (მათ შორის, ჩხუბის, კამათის, კანონმდებლობით აკრძალული ნივთის ტარების, ნარკოტიკული საშუალებების ქონისა და ა.შ.) აღმოჩენისა და პრევენციისთვის.[63] მანდატურმა უნდა შეასრულოს მედიატორის როლი დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის და უზრუნველყოს პედაგოგებისა და სკოლის ადმინისტრაციისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.[64]

სკოლის დირექტორის სტანდარტების მიხედვით, *„დირექტორის, როგორც სკოლის ლიდერის უმთავრეს პასუხისმგებლობას წარმოადგენს, შექმნას უსაფრთხო და თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასკო-*

59 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №141/ნ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

60 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, 2019-2020 წლებში მიღწეული პროგრესი და 2021 წლის განვითარების გეგმა, გვ. 2.

61 იქვე.

62 ირინა გურგენაშვილი, ემოციური უსაფრთხოება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში – მოსწავლეთა დარღვევებისა და ჩაგვრის შემთხვევების სტატისტიკის ანალიზი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HZZ49r, წვდომის თარიღი: 31.03.2023.

63 თათია ხალიანი, მანდატურები სკოლის ცხოვრებაში, (2017), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Iszbzo, წვდომის თარიღი: 31.03.2022.

64 იქვე.

ლო გარემო“.[65] ამდენად, სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი სწორედ მას აქვს მინიჭებული,[66] თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სასკოლო უსაფრთხოების არქიტექტურაში ის შემოდის არა ინდივიდუალურად, არამედ სკოლის დირექციის სახით. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე, სასკოლო დროს, უსაფრთხოებასა და წესრიგის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ მანდატურსა და სკოლის დირექციას, ხოლო იმ სკოლაში, სადაც არ არის მანდატური – უფლებამოსილ პირსა[67] და დირექციას.[68] სკოლის დირექციაში შედიან სკოლის დირექტორი და მისი მოადგილე/მოადგილეები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).[69]

დირექტორი ასევე ქმნის სკოლის უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს, რომლის მიზანია მანდატურსა და სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა.[70] უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი ან/და მისი მოადგილე/მოადგილეები; მანდატური ან უფლებამოსილი პირი (იმ სკოლებში, სადაც არ არის მანდატურის სამსახური წარმოდგენილი); სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე; პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე; დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე; მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე და შესაბამისი რესურსცენტრის უფროსი ან თანამშრომელი.[71]

65 ნათია ნაცვლიშვილი, უსაფრთხო სკოლა, კრებულში თანამედროვე სკოლის მართვა. მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (2021), გვ. 224.

66 იქვე, გვ. 225.

67 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის, 1-ელი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით, უფლებამობისი პირი არის „სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გასაზღვრული პირი, რომელიც სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას იმ სკოლებში, სადაც არ არის მანდატური, ხოლო იმ სკოლებში, სადაც არის მანდატური, ეხმარება მანდატურს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაში, მანდატურის სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

68 იქვე, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი.

69 იქვე, მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

70 იქვე, მე-11 მუხლის 1-ელი პუნქტი.

71 იქვე, მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი.

დიაგრამა 1: უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა.



სკოლის დირექციის ფუნქციები სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნაწილში საკმაოდ კომპლექსური და მრავალწახნაგოვანია. განათლების მინისტრის №06/ნ ბრძანების მიხედვით, რომელიც სასკოლო უსაფრთხოების არქიტექტურის ცენტრალური მომწესრიგებელი აქტია, დირექციას მანდატურის სამსახურთან ერთად *„სკოლის ტერიტორიაზე წესრიგისა და დისციპლინის დაცვა“*[72] ევალება. სკოლის დირექტორის/დირექციის უფლება-მოვალეობები კონკრეტიზებულია სპეციფიკურ შემთხვევებთან მიმართებით, თუმცა საინტერესოა, რომ არსებობს ზოგადი ხასიათის ბუნდოვანებაც. კერძოდ, სკოლის დირექცია უზრუნველყოფს *„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე მანდატურის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას“.*[73] ამავდროულად, სკოლის დირექტორს იდენტურ საკითხებზე რეაგირებისთვის რეკომენდაციებს წარუდგენს უსაფრთხოე-

72 იქვე, 44-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

73 იქვე, მე-40 მუხლის 1-ელი პუნქტი.

ბის მრჩეველთა საბჭოც.[74] მსგავსი მიდგომა გაუგებარს ხდის, რა ტიპის ანგარიშვალდებულების მოდელი ყალიბდება დირექტორს/დირექციას და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს (პირებს) შორის, რა განსხვავებაა მანდატურსა და მრჩეველთა საბჭოს მიერ წარდგენილ რეკომენდაციებს შორის, როგორ უნდა დარეგულირდეს რეკომენდაციათა პოტენციური სხვადასხვაობით გამოწვეული შესაძლო კონფლიქტები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ უშუალოდ მანდატურის ანგარიშვალდებულების საკითხისადმი კრიტიკული რეფლექსია სამსახურის ჩამოყალიბების პერიოდშივე დაიწყო. განათლების სპეციალისტები მიუთითებდნენ, რომ უნდა არსებობდეს მანდატურის გარკვეული სახის ანგარიშვალდებულება დირექტორის წინაშე, რაც დეტალურად უნდა ყოფილიყო გაწერილი შესაბამის ხელშეკრულებაში.[75]

კანონმდებლობა ასევე გამოკვეთს სკოლის ადმინისტრაციისა[76] და მასწავლებლების (მათ შორის კლასის დამრიგებლის) როლს სასკოლო უსაფრთხოების მიზნების მისაღწევად. სკოლაში უსაფრთხოებაზე ზრუნვა მასწავლებლის მოვალეობების განუყოფელი ნაწილია. მასწავლებელმა სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასალახად მოსწავლის მრჩევლის ფუნქცია უნდა იკისროს და დაეხმაროს მას სირთულეების მოგვარებაში.[77] მან უნდა შეინარჩუნოს სიმშვიდე კონფლიქტურ სიტუაციებში, მოუსმინოს მოსწავლეების აზრს და ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილებები მიიღოს.[78] პრო-

74 მრჩეველთა საბჭო „განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის“. იქვე, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

75 სოფიო გორგოძე და სიმონ ჯანაშია, უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის ალტერნატიული დოკუმენტი, კრებულში ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი, (2012), გვ. 21.

76 სკოლის ადმინისტრაციაში იგულისხმება სკოლის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პირები (გარდა მასწავლებლისა), ასევე, სკოლაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები. ბრძანება, მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

77 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №57/ნ „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“, მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ON18nv, წვდომის თარიღი: 31.03.2023.

78 იქვე, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

ფესიული ეთიკის კოდექსის თანახმად, მასწავლებელი ვალდებულია, ზრუნავდეს მოსწავლის ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვაზე.[79]

უნდა ითქვას, რომ სწორედ მასწავლებელს აკისრია ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ძალადობის გამოვლენისა და შემდგომი რეაგირების საკითხში,[80] თუმცა, როგორც სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშიდან ხდება ცნობილი, პრაქტიკაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პედაგოგიური კოლექტივის თანამშრომლობის ნაკლებობა მანდატურებთან, რაც შესაძლოა, დისციპლინური პასუხისმგებლობის რისკის გაცნობიერებით იყოს გამოწვეული.[81] მაგალითად, მანდატურების თქმით, *„მასწავლებელი, მდგომარეობის გამწვავებამდე არ ატყობინებს მანდატურს ბავშვებს შორის კონფლიქტის შესახებ, რაც აფერხებს მანდატურის მხრიდან ეფექტიან და დროულ რეაგირებას“.*[82] ანგარიშის თანახმად, ასევე თავს იჩენს მანდატურსა და დირექტორს შორის თანამშრომლობის სირთულე.[83] ბუნებრივია, ეს პრობლემა არ უნდა განზოგადდეს ყველა სკოლაზე, თუმცა, როგორც ჩანს, მისი არსებობა რიგ შემთხვევებში ეჭვგარეშეა. ამასთან, შესაძლოა განსხვავებული იყოს მასწავლებელთა და მანდატურთა შორის კოოპერაციის სირთულის გამომწვევი მიზეზები. ჩაღრმავებული ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ ამ ორ რგოლს შორის თანამშრომლობის სირთულეს შესაძლოა, მანდატურთა მიმართ არსებული „ისტორიული“ უნდობლობაც განაპირობებდეს (როდესაც მანდატურები მასწავლებელთა მიერ შინაგანაწესის დაცვის საკითხსაც არეგულირებდნენ) და ის ფაქტიც, რომ მანდატურის ინციდენტში ჩართვას შესაძლოა, უფრო ხისტი რეაქციები მოჰყვეს

79 იქვე, მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი.

80 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა, სპეციალური ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, (2017), გვ. 21.

81 იქვე.

82 იქვე.

83 იქვე.

მოსწავლის მიმართ.[84] დეტალურად, ეს საკითხი ნაშრომის შემდგომ ნაწილში გაანალიზდება.

ამასთანავე, თავად კანონმდებლობის გარკვეული ბუნდოვანებებიც შეიძლება უშლიდეს ხელს უფლებამოსილებების მკაფიო გამიჯვნას და კონკრეტულ სიტუაციებში პასუხისმგებლობის განაწილებას. მაგალითად, ნებისმიერი პირი, და მათ შორის უპირველესად, რა თქმა უნდა, მასწავლებელი, ვალდებულია, მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობის დაფიქსირების ან ეჭვის შემთხვევაში, ინფორმაცია მიაწოდოს მანდატურს/უფლებამოსილ პირს/სკოლის ადმინისტრაციას,[85] თუმცა ბოლომდე მკაფიო არ არის, რა შემთხვევაში და რა ინტენსივობით შეუძლია მასწავლებელს კონფლიქტის დასარეგულირებლად ინტერვენცია (თუ შემთხვევის მართვაში მანდატურის მყისიერი ჩართვის ობიექტური შესაძლებლობა არ არსებობს). ბუნებრივია, ყველა შემთხვევისთვის დეტალური ნორმატიული მოწესრიგება ვერ იარსებებს, თუმცა სასურველია, ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი უშუალოდ კანონმდებლობით იყოს დარეგულირებული.

სასკოლო უსაფრთხოების არქიტექტურის ნაწილია უშუალოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროც. მას უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ნაწილში უფრო მეტად მაკოორდინებლის, საკანონმდებლო ბაზის სისტემური მოწყობისა და მხარდამჭერის ფუნქცია აკისრია. ამ მხრივ, ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, სამინისტრო ასრულებს ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცება; შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ინფორმაციის გაცვლისა და პრევენციული ღონისძიების დაგეგმვის მიზნით თანამშრომლობა; შსს-ს, განათლების სამინისტროსა და მანდატურის სამსახურს

84 ინტერვიუ თბილისის საჯარო სკოლის მასწავლებელთან (ინტერვიუ 03).

85 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, 25-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

შორის კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის წესის დამტკიცება და სხვ.[86] ამასთან, სასკოლო უსაფრთხოების არქიტექტურის კუთხით განათლების სამინისტროს ცენტრალური როლი მანდატურის სამსახურთან მიმართებით შემოდის. სამსახური სამინისტროს წინაშეა ანგარიშვალდებული.[87] გარდა ამისა, როგორც სამსახურის უფროსს, ასევე მის მოადგილეებს, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს განათლების მინისტრი.[88]

მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ ხედავენ თავად მოსწავლეები და სკოლის თანამშრომლები უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს და, შესაბამისად, სასკოლო უსაფრთხოების არქიტექტურას. როგორც სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში ვკითხულობთ, ამ მხრივ, გაბატონებული ტენდენციაა უსაფრთხოებაზე ძირითად პასუხისმგებელ სუბიექტად ხელმძღვანელობის მონიშვნა და საკუთარი როლის უგულებელყოფა ან ნაკლებად წარმოჩენა.[89] კერძოდ, *„საკუთარ პასუხისმგებლობას აღნიშნული საკითხის მიმართ მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა მხოლოდ 8-10% აღიარებს“.*[90]

86 საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, 26-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ჰ“[11], „ჰ“[12] და „ჰ“[13] ქვეპუნქტები.

87 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №141/ნ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტი.

88 იქვე, მე-4 მუხლის 1-ელი და მე-5 პუნქტი.

89 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა, სპეციალური ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, (2017), გვ. 10.

90 იქვე.

3. მანდატურის სამსახურის შექმნისა და განვითარების ისტორია

მანდატურის სამსახური 2010 წელს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შემადგენლობაში შეიქმნა.[91] მანდატურების საპილოტე პროექტის განხორციელება განათლების იმჟამინდელი მინისტრის, დიმიტრი შაშკინის ინიციატივით დაიწყო.[92] პირველი კრიტიკა თავად ამ სიახლის დანერგვის პროცესს ეხებოდა. კერძოდ, პროექტის არსი და მიზნები არ განუხილავთ დარგის სპეციალისტებთან, მისი შინაარსი კი საზოგადოებისთვის ბუნდოვანი იყო.[93] ამასთან, ექსპერტების შეფასებით, პროექტმა მხოლოდ მოჩვენებითი პილოტირება გაიარა და მის დანერგვამდე არ იყო დადასტურებული ცვლილებების მოსალოდნელი ეფექტიანობა.[94] თუმცა 2010 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ცვლილებები უკვე დამტკიცებული ჰქონდა, რითაც შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მანდატურის სამსახური.[95] ნიშანდობლივია, რომ ამ პროცესის პარალელურად, სკოლების უმრავლესობაში გაუქმდა ფსიქოლოგის შტატი.[96]

საქართველოში მანდატურის სამსახურის მოდელი, თავდაპირველი დანერგვისას, წარმოადგენდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი სასკოლო რესურსოფიცრის (School Ressourse Officers) მოდიფიცირებულ ვერსიას. სკოლებში რესურსოფიცრების მივლინება პროდუქტზე დაფუძნებული სასკოლო უსაფრთხოების კონცეფციის

91 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, 2019-2020 წლებში მიღწეული პროგრესი და 2021 წლის განვითარების გეგმა, გვ. 2.

92 ია ანთაძე, სოფიო გორგოძე, ლიკა ზაკაშვილი და სხვები, უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, (2011), გვ. 13.

93 იქვე.

94 ინტერვიუ განათლების ექსპერტ სიმონ ჯანაშიასთან (ინტერვიუ 06).

95 ია ანთაძე, სოფიო გორგოძე, ლიკა ზაკაშვილი და სხვები, უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, (2011), გვ. 14.

96 მაია ცირამუა, ფსიქოსოციალური სამსახური საჯარო სკოლებში, კრებულში უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, (2011), გვ. 60.

ნაწილია, რომელიც 1970-იანი წლებიდან იღებს სათავეს და სკოლებში პოლიციის სისტემის თანამშრომლის განთავსებას გულისხმობს.[97] შედარებით გვიანდელი, 2016 წლის მონაცემებით, ამერიკის სკოლების 48%-ში შევხვდებით პოლიციის თანამშრომელს, რომელთაგან, უდიდეს ნაწილს (ამერიკის სკოლების 42%) სწორედ სასკოლო რესურსოფიცრები წარმოადგენენ. საბაზისო განათლების მიმწოდებელ იმ სკოლების 84%-ში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 1000-ს აჭარბებს, ვხვდებით სასკოლო რესურსოფიცრებს. ამერიკული მოდელით, ისინი სკოლაზე არიან მიმაგრებულნი, წარმოადგენენ პოლიციის სისტემის ნაწილს და ითავსებენ სამ – განმანათლებლის, არაფორმალური მრჩევლისა და სამართალდამცავის – როლს. მათ უფლებამოსილებებს წარმოადგენს როგორც მნიშვნელოვან საკითხთა გარშემო მოსწავლეთა ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლება, ისე მათთან არაფორმალური გასაუბრება და სოციალური მხარდაჭერის სერვისების მიმწოდებლებთან გადამისამართება, თუმცა, სამართალდამცავის სტატუსით, მათ ევალებათ სკოლაში პატრულირება, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლის დაკავება და კრიზისულ სიტუაციებში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, აგრეთვე, სამოქმედო გეგმის შემუშავება.[98]

ქართულ რეალობაში მანდატურის სამსახურის შექმნის დროს სამოდელო ფუნქცია სწორედ ამერიკაში მოქმედმა სასკოლო რესურსოფიცრის ინსტიტუტმა შეასრულა. ეს თვალსაჩინოა, თუ გავითვალისწინებთ იმ თავდაპირველ ფუნქციებსა და მოვალეობებს, რაც სკოლის მანდატურს კანონმდებლობით ჰქონდა დაკისრებული.

განათლების ექსპერტი, სიმონ ჯანაშია, რომელიც განათლების სამინისტროში მანდატურის ინსტიტუტის დანერგვამდე მენეჯერულ პოზიციას იკავებდა, იხსენებს, რომ სკოლებში ძალადობის პრობლემის აქტუალიზაცია, ძირითადად, 2007 წლიდან დაიწყო, რასაც წინ უს-

97 Gottfredson DC, Crosse S, Tang Z, et al. Effects of school resource officers on school crime and responses to school crime. Criminal Public Policy, (2020), p. 906.

98 Ibid, p. 907.

წრებდა თბილისის სკოლებში დროის მოკლე მონაკვეთში მომხდარი რამდენიმე მკვლელობა.[99] მისი თქმით, სამინისტროს მაშინდელი მიდგომით, სკოლებში ძალადობის პრევენცია, მეტწილად გრძელვადიან სტრატეგიებს ემყარებოდა, თუმცა, ასევე, ხდებოდა წერტილოვანი ინტერვენციები, როგორიცაა სკოლებისა და მოსწავლეების მოულოდნელი შემოწმება იარაღის ან სხვა აკრძალული ნივთის აღმოჩენის მიზნით. მიუხედავად ამისა, როგორც ჯანაშია მიუთითებს, მანდატურის სამსახურის შექმნა იმ ეტაპზე არ განიხილებოდა. აღნიშნული იდეის მომწიფებას ის 2010 წელს განათლების მინისტრად დიმიტრი შაშკინის დანიშვნას უკავშირებს, რომელმაც, ექსპერტის აზრით, სკოლის მართვის მოდელად, პენიტენციური სისტემისთვის დამახასიათებელი, დისციპლინაზე ორიენტირებული მართვის მოდელი აირჩია. მისივე დაკვირვებით, სკოლის მანდატურის ფუნქციებისა და მოვალეობების აღწერა ნაწილობრივ ემთხვეოდა ციხის ბადრაგის უფლებამოსილებებს, რაც, ექსპერტის თქმით, არა დამთხვევას, არამედ სამსახურის რეალური მიზნების, კერძოდ კი, სკოლების, მათ შორის მასწავლებლებისა და დირექციის პოლიტიკური კონტროლის განზრახვის მანიფესტაციას წარმოადგენდა.[100]

მანდატურის სამსახურის შექმნიდანვე შეშფოთების მთავარი საგანი ამ მექანიზმის მკვეთრად პოლიციური ბუნება იყო (პროცესის არაინკლუზიურობასთან, გაუმჭვირვალობასა და დემოკრატიული ჩართულობის კომპონენტების სიმწირესთან ერთად).[101] ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ მანდატური თავის თავზე კონტროლის ფუნქციას იღებდა, ზრუნვის მექანიზმები კი მიზანმიმართულად სუსტდებოდა.[102] მათ შორის ისეთი სიახლის დანერგვაც, როგორიცაა სამეთვალყურეო კამერების სისტემებით სკოლების აღჭურვა, მხედველობის არიდან ტოვებდა მოსწავლეთა ანტისოციალური ქცევის მიზეზებს და მის აღმოფხვრაზე არ

99 ინტერვიუ განათლების ექსპერტ სიმონ ჯანაშიასთან (ინტერვიუ 06).

100 იქვე.

101 Georgian teachers uneasy over school ‘police’, BBC, available at: https://bbc.in/3uBB7j8, accessed on: 31.03.2023.

102 მაია ცირამუა, ფსიქოსოციალური სამსახური საჯარო სკოლებში, კრებულში უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, (2011), გვ. 60.

იყო მიმართული.[103] ამგვარი მექანიზმები მოსწავლეებს მხოლოდ კამერების წინ „კარგად მოქცევას“ ასწავლის/აიძულებს.[104] შესაბამისად, უსაფრთხო სკოლის მსგავსი კონცეფციები პრობლემების სკოლის გარეთ გატანის მცდელობა უფროა.[105]

2008-2009 წლებიდან დაწყებული საკანონმდებლო და პოლიტიკის ცვლილებები ერთმნიშვნელოვნად მიმართული იყო სისტემის ცენტრალიზაციის, სკოლებზე განათლების სამინისტროს გავლენის ზრდისა და კონტროლზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებისკენ.[106] მანდატურის სამსახურის შექმნაც ამ პროცესის ნაწილი იყო. მანდატურს, პირველ წლებში, სხვებს შორის ისეთი ფუნქციები ჰქონდა მინიჭებული, როგორებიცაა:

- *„სკოლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი სამართალდარღვევების აღკვეთა და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება (ცივი იარაღის ტარების, ნარკოტიკული საშუალებების შენახვა-მოხმარების, ჯანმრთელობის დაზიანების, თამბაქოს რეალიზაციის წესების დარღვევის, წვრილმანი ხულიგნობისა და სხვა ქმედების შესახებ, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და ხელს უშლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას);*

- *სკოლის შინაგანაწესის შესრულების კონტროლი;*

- *დისციპლინური გადაცდომის იარაღის, იმ საგნის, რომელსაც დისციპლინური გადაცდომის კვალი ატყვია, დისციპლინური გადაცდომით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის, რომლებიც საჭიროა დისციპლინური გა-*

103 იქვე, გვ. 67.

104 იქვე.

105 იქვე.

106 იხ.: გიორგი მშვენიერაძე, უსაფრთხო სკოლა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, კრებულში უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, 2011, გვ. 34-39.

დაცდომის გარემოებათა გასარკვევად, აღმოჩენისა და ამოღების მიზნით პირადი გასინჯვის ჩატარება;

- *სპეციალური საშუალებების გამოყენება საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში".*[107]

ამგვარად, მანდატურის სამსახური აღჭურვილი იყო განსაკუთრებით ფართო უფლებამოსილებით. ის, ფაქტობრივად, პოლიციურ კონტროლს ახორციელებდა, შეეძლო მოსწავლის პირადი გასინჯვა და სპეციალური საშუალებების გამოყენება (მათ შორის ისეთი ზოგადი საფუძვლის მითითებით, როგორიცაა „სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს მისთვის წინააღმდეგობის გაწევა"),[108] ხოლო მისი სამოქმედო ველი გამორჩეულად დიდი იყო. ამასთან, მანდატურის მოთხოვნების შესრულება ნებისმიერი ფიზიკური პირისთვის სავალდებულო იყო.[109] განათლების შესახებ კანონი მიუთითებდა, რომ *„სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სკოლის მანდატური არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი და მას იცავს სახელმწიფო".*[110] მანდატურს ასევე შეეძლო, საკუთარი სურვილისამებრ, სათათბირო ხმის უფლებით დასწრებოდა სკოლის სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების, დისციპლინური და სააპელაციო კომიტეტების სხდომებს და მათ წინაშე დაეყენებინა მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული საკითხები.[111]

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ამ ტიპის სამსახურის ამგვარი უფლებამოსილებით შექმნა და სასკოლო განათლების სისტემაში ინტეგრირება არ პასუხობდა ზრუნვისა და სოციალური პასუხისმგებლობის ინტერესებს. მეტიც, ის თავიდანვე აღიქმებოდა

107 „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე (21/07/2010), 48[3]-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ", „ი", „მ" და „ნ" ქვეპუნქტები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OJGt4f, წვდომის თარიღი: 31.03.2022.

108 იქვე, 48[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

109 იქვე, 48[4]-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

110 იქვე.

111 იქვე, 48[3]-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

სკოლასა და პედაგოგებზე კონტროლის ერთგვარ პოლიტიკურ ინსტრუმენტად.[112] მანდატურის სამსახური აირეკლავდა ნულოვანი ტოლერანტობისა და დანაშაულის კონტროლის იმ მიდგომებს, რომელიც ქართული პოლიტიკის სხვა სფეროებში (სისხლის სამართლის პოლიტიკა) დომინირებდა.[113] მთლიანობაში, ეს პროცესი კონცეპტუალიზდება, როგორც ნულოვანი ტოლერანტობის (zero tolerance) პოლიტიკის გაფართოება და განათლების სისტემაში მისი ინტეგრირება.

დღესდღეობით მანდატურის სამსახურს ყველაზე პრობლემური ფუნქციები, ძირითადად, ჩამოსცილდა. მას აღარ აქვს სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება, „პირადი გასინჯვა“ კი ჩაანაცვლა უკონტაქტო ზედაპირულმა დათვალიერებამ. დაუშვებელია მანდატურის საკლასო ოთახში საგაკვეთილო პროცესის დროს, პირადი ინიციატივით შესვლა (თუ საფრთხე არ ემუქრება საკლასო ოთახში მყოფთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას).[114] მას ასევე *„არ აქვს პედაგოგის მიმართ რაიმე ტიპის ადმინისტრაციული საქმისწარმოების უფლება“.*[115] მანდატურის უფლებამოსილებებში ასევე აღარ ფიქსირდება „სკოლის შინაგანაწესის შესრულების კონტროლის“ ფუნქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მანდატურის კომპეტენციას აღარ წარმოადგენს სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის მიერ სკოლის შინაგანაწესის აღსრულების პროცესზე ზედამხედველობა.

ამასთან, 2018 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს მიენიჭათ მანდატურის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებების გასაჩივრების უფლება.[116] საკანონ-

112 დეტალურად იხ.: ლიკა ზაკაშვილი, საფრთხის განცდით დახუნძლული უსაფრთხო სკოლა, კრებულში უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, 2011, გვ. 89-102.

113 Nodar Tangiashvilia & Gavin Slade, Zero-tolerance schooling: education policy, crime, and democracy in post-Soviet Georgia, Post-Soviet Affairs, (2014), 30:5, 416-440, p. 421.

114 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, 46-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტი.

115 თათია ხალიანი, მანდატურები სკოლის ცხოვრებაში, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lszbzo, წვდომის თარიღი: 31.03.2023.

116 საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტი.

მდებლო ცვლილებებამდე გასაჩივრების მექანიზმი მხოლოდ მასწავლებლისა და სკოლის არამართლზომიერი ქმედებების მიმართ არსებობდა. პოზიტიური ცვლილების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრების მექანიზმს სჭირდება დეტალური რეგულირება, კერძოდ: შესაბამის ნორმატიულ აქტში დეტალურად უნდა გაიწეროს საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი სუბიექტის ვინაობა, გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის ვადა და სხვა პროცედურული საკითხები.

4. მანდატურის ფუნქციები

განათლების მინისტრის №06/ნ ბრძანების მიხედვით, შეიძლება გამოიყოს ფუნქციათა ორი ჯგუფი, რომელთაც სკოლაში მანდატური ასრულებს: 1. საგანმანათლებლო და ზრუნვაზე ორიენტირებული ღონისძიებები; 2. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს ან მის აღსაკვეთად გასატარებელი ზედამხედველობის ღონისძიებები.

ფუნქციათა **პირველ ჯგუფში** შეგვიძლია განვიხილოთ მანდატურის ისეთი უფლება-მოვალეობები, როგორებიცაა: სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობა, მათთან ინდივიდუალური გასაუბრება, მათ ქცევაზე დაკვირვება და მშობლისა და სკოლის შესაბამისი პირის ინფორმირება აღნიშნული ქცევის თაობაზე;[117] მოსწავლეებისათვის სამოქალაქო თავდაცვასთან, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან, სისხლის სამართლის დანაშაულებსა და მათ შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება;[118] ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, ძალადობის (მათ შორის, ბულინგის) საწინააღმდეგო საგანმანათლებლო კამპანიებისა და სხვა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებაში მონაწილეობა;[119] მოსწავლეებს შორის კონფლიქტის მედიაცია[120] და სხვ.

მეორე ჯგუფი მოიცავს მანდატურის ფუნქციების ყველაზე ფართო და ცენტრალურ სპექტრს. აქ უპირველესად იგულისხმება ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაზე ზრუნვა დისტანციური და არადისტანციური გზებით, რაც, ძირითადად, მანდატურის ორი ზოგადი უფლებამოსილებიდან გამომდინარეობს. ესენია: საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის კონტროლი და სკოლაში ან მის

117 იქვე, 48[3]-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები.

118 იქვე, „დ“ ქვეპუნქტი.

119 იქვე, „ვ[1]“ ქვეპუნქტი.

120 იქვე, „ზ“ ქვეპუნქტი.

მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი/გამოვლენილი სამართალდარღვევების აღკვეთა და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება.[121] კანონმდებლობა ადგენს, რომ *„სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება მანდატურის ან/და უფლებამოსილი პირის საშუალებით, [ხოლო] სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს მანდატური და სკოლის დირექცია“.*[122]

ამ მიზნით, მანდატურის ფუნქციებია: ვიდეოსათვალთვალო სისტემის ყოველდღიური გამოყენება და ადმინისტრირება;[123] კონკრეტულ შემთხვევებში მოსწავლეების განცალკევება ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოში;[124] მდგომარეობის პირველადი მართვა და შეფასება კითხვარების გამოყენებით (მეორე ეტაპზე, შესაძლოა, ჩაერთოს ფსიქოლოგი);[125] ფიზიკური ძალის გამოყენება მხოლოდ უკიდურეს სიტუაციებში;[126] მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება მეტალოდეტექტორის გამოყენებით (კანონმდებლობით ან სკოლის შინაგანაწესით აკრძალული ნივთის/ნივთიერების აღმოსაჩენად);[127] ელექტრონული ბაზის წარმოება, კერძოდ: დარღვევის/სავარაუდო დარღვევის ასახვა ბაზაში

121 საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, 48[3]-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

122 იმ სკოლაში, რომელშიც არ არის მანდატური – უფლებამოსილი პირი და სკოლის დირექცია. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

123 იქვე, 42-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

124 იქვე, 32-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

125 იქვე, 33-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

126 ბრძანების თანახმად, მანდატურს ფიზიკური ძალის გამოყენების უფლება აქვს შემდეგ შემთხვევებში: „ა) სამართალდარღვევის აღკვეთისას; ბ) მაშინ, როდესაც საფრთხე ემუქრება სკოლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას; გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოსათვის წარსადგენად დამნაშავის შეპყრობისას, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეს პირი მიიმალება ან გარშემომყოფთ ზიანს მიაყენებს“. იქვე, 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

127 იქვე, 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

და სკოლის დირექციისთვის გადაგზავნა;[128] სკოლებისათვის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე რეკომენდაციების მიცემა[129] და სხვ.

გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციით დგინდება, რომ მანდატურები განცალკევებისა და უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების პროცედურებს ყველაზე ხშირად მიმართავდნენ 2019 წელს. მომდევნო წლების სტატისტიკა ამ კუთხით მნიშვნელოვანი კლების ტენდენციით ხასიათდება. ასევე აღსანიშნავია, რომ სუიციდისთვის ხელის შეშლის მიზნით ფიზიკური ძალის გამოყენების 1 შემთხვევა დაფიქსირდა 2019 წელს, 2021 წელს კი – 2.[130] საგულისხმოა, რომ 2019 წელს სასწავლო პროცესი სკოლის გარემოში მიმდინარეობდა, თუმცა COVID-19-ის პანდემიის გამო, 2020, 2021 და ნაწილობრივ 2022 წელს სასკოლო პროცესი დისტანციურ ან ჰიბრიდულ გარემოში მიმდინარეობდა. აქედან გამომდინარე, აშკარაა პანდემიური ვითარების გავლენა 2020, 2021 და ნაწილობრივ 2022 წელს დამუშავებულ სტატისტიკურ მონაცემებზე.

ოქმები	2019 კალენდარული წელი	2020 კალენდარული წელი	2021 კალენდარული წელი
მანდატურის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენება (სუიციდისთვის ხელის შეშლის გამო)	1	0	2
განცალკევება	45	5	5
უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება	7116	1494	2368

მანდატურის სპეციფიკური უფლება-მოვალეობები უმეტესად ვლინდება კონკრეტულ შემთხვევებში, რომლებიც, კანონმდებლობის თანახ-

128 იქვე, 37-ე მუხლის 1-ელი და მე-5 პუნქტები.

129 იქვე, 39-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

130 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 21.07.2022 წლის N774509 წერილი.

მად, კლასიფიცირდება, როგორც „სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა“. კანონმდებლობა გამოყოფს ამ ტიპის 15 კონკრეტულ და 1 დამატებით (ზოგად) შემთხვევას.[131]

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების ნუსხა
1. საგანგებო სიტუაციები (ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.);
2. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი გადამდები დაავადების შემთხვევა სკოლაში;
3. სუიციდური აზრი, სუიციდის მცდელობა, სუიციდი;
4. თვითდაზიანება;
5. სკოლაში ფეთქებადი ნივთიერებების აღმოჩენა ან ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შეტყობინება;
6. მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ქონა;
7. მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლის სხვა თანამშრომლის მიერ ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული საშუალების შეტანა, რეალიზაცია, მოხმარება სკოლის ტერიტორიაზე ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა;
8. მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანება საპატიო მიზეზის გარეშე, როდესაც აღნიშნულის შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული; მოსწავლის მიერ კლასის ან/და სკოლის დატოვება შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე;
9. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობა;
10. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სამართალდარღვევა;
11. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგი/კიბერბულინგი;
12. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ დისკრიმინაცია, ნებისმიერი ნიშნის მიხედვით;
13. მოსწავლის დესტრუქციული ქცევა (საგაკვეთილო პროცესისთვის ხელის შეშლა);
14. მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღება, ფულის შეგროვება, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერი ფორმით გამორთმევა;
15. მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლის თანამშრომლის/სკოლის ქონების ხელყოფა.
სხვა გარემოება ან/და ქმედება, რომელმაც შეიძლება სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს საფრთხე შეუქმნას იქ მყოფ პირთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან/და ქონებას, სკოლის გამართულ ფუნქციონირებას ან/და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, ასევე სკოლის შინაგანაწესის, მოსწავლის ქცევის კოდექსისა და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა.

131 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტი.

თითოეულ შემთხვევაში მანდატურის როლი და ფუნქციები მეტ-ნაკლებად განსხვავებულია და დამოკიდებულია ინციდენტისა თუ დარღვევის შინაარსსა და ინტენსივობაზე. თუ საგანგებო და კრიზისულ სიტუაციებში მანდატურს მათი მართვა, შესაბამისი ორგანოების ინფორმირება და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ევალება, სასკოლო პროცესისთვის დამახასიათებელ დარღვევებზე (მაგ. მოსწავლის დესტრუქციულ ქცევაზე) მის ფუნქციას უმეტესად ინფორმაციის მოკვლევა, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება და, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში გადამისამართება წარმოადგენს. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შემქმნელი სიტუაციების უმრავლესობაში, მანდატური საქმეში რთავს სამართალდამცავ ორგანოს. ზოგიერთ შემთხვევაში შეტყობინება ავტომატურად სავალდებულოა (მაგ.: სუიციდის მცდელობა; სკოლაში ფეთქებადი ნივთიერების აღმოჩენა; მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ჩადენილი სისხლის სამართლის კოდექსითა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევა),[132] ზოგჯერ კი მანდატურმა ჯერ უნდა შეაფასოს, შეიცავს თუ არა ფაქტი დანაშაულის ნიშნებს და მხოლოდ ამის შემდეგ შეატყობინოს სამართალდამცავ ორგანოს ინციდენტის თაობაზე (მაგ.: მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგი/კიბერბულინგი ან ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია).[133]

აქვე უნდა ითქვას, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული გამოწვევების მართვაში მანდატური ერთ-ერთი რგოლია და არა ერთადერთი. განხილულ შემთხვევათა უმრავლესობაში მანდატური უფლებამოსილებებს არ ახორციელებს ექსკლუზიურად. კონკრეტული შემთხვევების მართვაში მასთან ერთად ერთვება სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი. კანონმდებლობა ცხადად მიუთითებს, რომ ამგვარი სიტუაციების მართვა საზიარო

132 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/6 „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი; მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი; 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

133 იქვე, 27-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები; 28-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები.

პასუხისმგებლობაა. გარდა ამისა, უსაფრთხოების ცალკე შრეა ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი, რომელიც შემდგომ ერთვება შესაბამისი შემთხვევების მართვაში. გარდა ფსიქოლოგიური მომსახურებისა, ცენტრის ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობენ სკოლაში გამოვლენილი ინციდენტის მულტიდისციპლინარულ მართვაში და შედიან სკოლაში მისავლენი მობილური ჯგუფის შემადგენლობაში.[134]

134 იქვე, 36-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები.

5. სასკოლო დარღვევების ელექტრონული აღრიცხვა და ინფორმაციის გაცვლა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან

5.1. სასკოლო დარღვევების ელექტრონული აღრიცხვა

მანდატური სკოლაში გამოვლენილ დარღვევებს ან სავარაუდო დარღვევის ფაქტებს ასახავს დარღვევის აღრიცხვის ფურცელში, რომელიც მართვის ავტომატური საშუალებით (erofficers.emis.ge – ელექტრონული პროგრამა) შედგენილი დოკუმენტია.[135] აღნიშნული ელექტრონული პროგრამა წარმოადგენს საინფორმაციო ბაზას, სადაც ინახება ცნობები თითოეულ დარღვევასთან დაკავშირებით არა მხოლოდ მანდატურის, არამედ აგრეთვე მასწავლებლის, სკოლის დირექციის, დისციპლინური კომიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.[136] მოსწავლის მიმართ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელში უნდა მიეთითოს მისი სახელი და გვარი, პირადი ნომერი, დარღვევის არსი, ჩადენის დრო და ადგილი, მანდატურის მიერ გატარებული ღონისძიების შესახებ ინფორმაცია.[137]

კვლევითმა ჯგუფმა მანდატურის სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია 2019, 2020, 2021 და 2022 წლებში საჯარო სკოლებში აღრიცხული დარღვევების რაოდენობის შესახებ.

135 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/6 „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

136 იქვე, მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

137 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 27 მაისის ბრძანება №24/6, „საგანმანათლებლო დაწესებულებებში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის ფორმის „დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №171/6 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, დანართი 1, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/40rKsro, წვდომის თარიღი: 31.03.2023.

მოსწავლის მიერ გამოვლენილი დარღვევები 2019-2021 წლებში[138]

N	დარღვევის ტიპი	2019 კალენდარული წელი	2020 კალენდარული წელი	2021 კალენდარული წელი
1	სუიციდური აზრი/ ქცევა/სუიციდი	369	117	17
2	თვითდაზიანება	7	0	24
3	ფეთქებადი ნივთიერებების სკოლაში ტარება	7	0	0
4	სკოლაში აკრძალული ნივთების ტარება	1462	300	805
5	სკოლაში მაღალი რისკის მქონე ნივთების ტარება	141	31	61
6	თამბაქოს მოხმარება	770	179	402
7	ალკოჰოლის შეტანა, მოხმარება, რეალიზაცია ან მისი ზეგავლენის ქვეშ სკოლაში გამოცხადება	40	12	28
8	ნარკოტიკული (მარიხუანა) ან ფსიქოტროპული საშუალების შეტანა, მოხმარება, რეალიზაცია ან მისი ზეგავლენის ქვეშ სკოლაში გამოცხადება	22	3	1
9	დისციპლინური დარღვევები	19503	4654	3718
10	ძალადობა მოსწავლეზე სხვა პირის მიერ	108	15	39
11	მოსწავლისგან მოსწავლეზე ძალადობა	2230	435	888
12	კიბერბულინგი	20	13	38

138 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 21.07.2022 წლის №MES 6 22 0000828469 წერილი, დანართი N2.

მოსწავლის მიერ გამოვლენილი დარღვევები 2022 წელს[139]

N	დარღვევის ტიპი	რაოდენობა
1	აზარტული თამაში	72
2	ბანქოს/სხვა აზარტული სათამაშო საშუალების ქონა	141
3	თამბაქოს ნაწარმის ქონა	789
4	ნარკოტიკის მოხმარებისთვის საჭირო ნივთების ქონა	3
5	საახალწლო ასაფეთქებლის ქონა	115
6	სანთებელას ან ასანთის ქონა	854
7	სკოლის ტერიტორიის დანაგვიანება	13
8	უღირსი საქციელის/არაეთიკური ქმედების ჩადენა	779
9	თამბაქოს ნაწარმის მოხმარება	832
10	პეტარდის/წიწაკის სპრეის გამოყენება	154
11	პნევმატური იარაღის გამოყენება	4
12	სავარაუდოდ, ცივი იარაღის ქონა	5
13	ფეიერვერკის/ წიწაკის სპრეის ქონა	3
14	ელექტროშოკის ქონა	4
15	ვაზნის ქონა	6
16	მასრის ქონა	5
17	პნევმატური იარაღის ქონა	6
18	სავარაუდო ცივი იარაღის ქონა	162
19	ხელკეტის ქონა	2
20	გაკვეთილზე მობილურით სარგებლობა	307
21	გაკვეთილზე დაგვიანება	2862
22	გაკვეთილის თვითნებურად მიტოვება	6376
23	საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობა, არასაპატიო მიზეზით	1136
24	სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ნივთის არქონა	21
25	სკოლაში დაგვიანება	5520
26	ყურსასმენის/ტექნიკური საშუალებების გაკვეთილზე გამოყენება	3
27	გაკვეთილის ჩაშლა ან ჩაშლის მცდელობა	4224
28	ნივთის დაზიანება	22

139 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 06.02.2023 წლის N. MES 7 23 0000131381 წერილი.

29	კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა	193
30	ნივთის უნებართვოდ აღება	19
31	ალკოჰოლის მოხმარება სკოლის ტერიტორიაზე	10
32	ალკოჰოლის შეტანა სკოლის ტერიტორიაზე	17
33	ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ სკოლაში გამოცხადება	6
34	თვითდაზიანება	38
35	გადამდები დაავადებების შემთხვევა სკოლაში	3351
36	სახიფათო ინტერნეტთამაშები	1
37	სიტყვიერი შეურაცხყოფა	389
38	სხეულის უნებლიე დაზიანება	114
39	სასკოლო ინვენტარის განზრახ დაზიანება	112
40	ინვენტარის უნებლიე დაზიანება	115
41	სავარაუდო საქმის გარჩევა	109
42	სუიციდის მცდელობა	10
43	მოსწავლის სუიციდური აზრი	18
44	ცრუ განგაში	4
45	ფიზიკური შეურაცხყოფა	2044
46	კიბერძალადობა	36
47	სექსუალური ქმედების შემცველი მოძრაობების ჩვენება	1
48	ფსიქოლოგიური ძალადობა	2
49	ფიზიკური ბულინგი	4
50	სუბკულტურების მაიდენტიფიცირებელი სიმბოლოების დემონსტრირება	3
51	ფსიქოლოგიური ბულინგი	27
52	ძალადობის მუქარა	30
53	სავარაუდო ნარკოტიკული საშუალებების შეტანა/მოხმარება სკოლის ტერიტორიაზე	4
54	სხეულის განზრახ დაზიანება	33

მიღებული მონაცემებით იკვეთება, რომ მანდატურის სამსახური სტატისტიკას არაერთგვაროვნად აწარმოებს და დარღვევათა ჩამონათვალი სცდება ბრძანებით განსაზღვრულ გადაცდომათა რაოდენობას. როგორც ზემოთ აღინიშნა, გარდა პირდაპირ მითითებული შემთხვევებისა, შესაძლოა, დარღვევად იყოს მიჩნეული ნებისმიერი სხვა გარე-

მოება ან/და ქმედება, რომელიც აფერხებს სასწავლო პროცესის გამართულ მიმდინარეობას.[140] სავარაუდოა, რომ მანდატურის სამსახური სწორედ ამ ჩანაწერზე დაყრდნობით აღრიცხავს სასკოლო გადაცდომათა სტატისტიკას და მასში ისეთი ქმედებებიც შეჰყავს, როგორიცაა მაგ. გაკვეთილზე ყურსასმენის/ტექნიკური საშუალების გამოყენება (3 აღრიცხული შემთხვევა), გაკვეთილზე მობილურით სარგებლობა (307 აღრიცხული შემთხვევა) ან სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ნივთის არქონა (21 აღრიცხული შემთხვევა). აქვე საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნული სტატისტიკა შედგენილია მხოლოდ იმ საჯარო სკოლებში დაფიქსირებული შემთხვევების საფუძველზე, სადაც წარმოდგენილია მანდატური, ვინაიდან სწორედ ასეთ სკოლებში მიმდინარეობს დარღვევების ელექტრონული პროგრამის წარმოება.

მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს ხელმძღვანელი აცხადებს, რომ იმ სკოლებში, სადაც არაა წარმოდგენილი მანდატური და შერჩეულია უფლებამოსილი პირი, ხშირად არ ხდება დარღვევების იდენტიფიცირება და აღრიცხვა. მისი თქმით, თუ მომხდარი ინციდენტი არ უკავშირდება მოსწავლის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ასეთი ფაქტები მეტწილად აღურიცხავი რჩება. ეს წარმოადგენს ყველაზე დიდ განსხვავებას მანდატურიან და უმანდატურო სკოლებს შორის.[141]

მანდატურები რუტინულად აღრიცხავენ ისეთ შემთხვევებს, რომლებიც შესაძლოა, არასასურველი იყოს სასკოლო გარემოსთვის, თუმცა შინაარსით არ წარმოადგენდეს რაიმე სახის უსაფრთხოების გამოწვევას. ეს შესაძლოა, მიუთითებდეს სწორედ იმაზეც, რომ ზედმიწევნითი ტექნოლოგიური აღრიცხვა ხელოვნურად ზრდის სკოლაში დაფიქსირებული დარღვევების რაოდენობას. სიაშიც შეიძლება ისეთი ქმედებებიც მოხვდეს, რომელთა პროგრამული აღრიცხვაც (დარღვევის ფურცლის შევსება) არანაირ საჯარო ინტერესს არ ემსახურებოდეს და

140 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/6 „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტი.

141 ინტერვიუ მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოსა და ფსიქოსოციალური ცენტრის ხელმძღვანელებთან (ინტერვიუ 01).

რომლებზე ზრუნვაც და პრევენციაც სწორედ მასწავლებლის კომპეტენციას უნდა მიეკუთვნებოდეს.

განათლების მინისტრის ბრძანების თანახმად,[142] ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში რეგისტრირებულ დარღვევათა შესახებ ინფორმაცია ინახება მოსწავლის სტატუსით ვადით, შემდგომ კი ავტომატურად იშლება. აღნიშნული კიდევ უფრო ამძაფრებს სკოლაში გამოვლენილი უმნიშვნელო დარღვევების რუტინული აღრიცხვის კრიტიკას, ვინაიდან მანდატურის სამსახურს (და მასთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროს) წლობით შეიძლება ჰქონდეს წვდომა არა მხოლოდ მოსწავლეთა უმნიშვნელო გადაცდომაზე, არამედ „დამრღვევის" სახელზე, გვარსა და სხვა მაიდენტიფიცირებელ ნიშნებზე. შემდგომი თავი ამ საკითხის დეტალურ განხილვასა და არსებული მოწესრიგების კრიტიკას დაეთმობა.

5.2. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ინფორმაციის გაცვლა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანების[143] თანახმად, მანდატურის სამსახურსა და შსს-ს შორის მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა და კოორდინაცია. ეს ორი გზით ხდება: 1. მანდატურის სამსახურის მიერ ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში დაცული ინფორმაციის რეალურ დროში კოპირებითა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის მონაცემთა ბაზაში ასახვით; 2. შსს-ს, განათლების სამინისტროსა და მანდატურის სამსახურს შორის ინფორმაციის ზეპირად ან წერილობითი ფორმით გაცვლით.[144] შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს სრული წვდომა ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში არსებულ მონაცემებზე.

142 37-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

143 ბრძანება №40/ნ / №18 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს შორის კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის წესის დამტკიცების შესახებ".

144 იქვე, მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტი.

ბრძანების მიხედვით, შსს-ს მხრიდან ინფორმაციის დამუშავების მიზანი უმთავრესად პრევენციულია, რაც გულისხმობს მიზნობრივ ჯგუფებთან სხვადასხვა აქტივობისა და ღონისძიების განხორციელებას, სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას, სამართალდარღვევათა ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირებას და სხვა.[145] ამავდროულად, *„ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში დაცული ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის მონაცემთა ბაზაში ინახება მოსწავლის სტატუსის ვადით, რის შემდეგაც ინფორმაცია იშლება ავტომატურად“.*[146] მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს წვდომა ამ ინფორმაციაზე და საკითხის არსებული საკანონმდებლო რეგულირება მეტად პრობლემურია.

როგორც ითქვა, მანდატური ვალდებულია, მის მიერ დაფიქსირებული ნებისმიერი დარღვევა (ან სავარაუდო დარღვევა) ასახოს ელექტრონულ პროგრამაში[147] და ამ დარღვევებში არ იგულისხმება მხოლოდ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევები. დარღვევას წარმოადგენს, მაგალითად, თამბაქოს/ალკოჰოლის ქონა, მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობა, სკოლის შინაგანაწესის, მოსწავლის ქცევის კოდექსისა და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა და სხვა.[148]

‘დარღვევის’ დეფინიცია იმდენად ფართოა და ელექტრონულ ბაზაში იმდენად ბევრი სხვადასხვა სახის ინფორმაცია იყრის თავს, რომ გაუგებარია, რა ლეგიტიმურ მიზანს უნდა ემსახურებოდეს შსს-სთვის მასზე აბსოლუტური წვდომის მინიჭება. ამასთანავე, ყველა ტიპის დარღვევა შესაძლოა არ ქმნიდეს გარდაუვალი აღრიცხვისა და შენახვის საჭიროებას. ზოგადად,

145 იქვე, მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტი.

146 იქვე, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი.

147 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

148 იქვე, მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტი.

მოსწავლეთა ქცევის ტოტალური ტექნოლოგიური მონიტორინგი უპირობოდ დასაცავ სიკეთედ არ უნდა გამოცხადდეს. სარგებლის მოტანასთან ერთად მან შესაძლოა, ხელი შეუწყოს დისციპლინირების ატმოსფეროს შექმნას,[149] რაც სკოლის საგანმანათლებლო მიზნებს არ ემსახურება.

აქვე, დაუსაბუთებელია ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში დაცული ინფორმაციის რეალურ დროში კოპირებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის მონაცემთა ბაზაში ასახვის აუცილებლობა. ბუნებრივია, ელექტრონული წარმოების სისტემა სასკოლო უსაფრთხოების მიზნებისთვის გამოსადეგი ინსტრუმენტია, თუმცა მიზანშეწონილია, დადგინდეს, არსებული ფორმით რამდენად ეხმაურება ის ზრუნვაზე ორიენტირებული სკოლის იდეას. ბრძანების მიხედვით, მონაცემთა კოპირების ძირითადი მიზანი სკოლაში პრევენციული საქმიანობაა,[150] თუმცა ბრძანებაში მითითებული პრევენციული მიზნების მისაღწევად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სკოლებში წარმოებულ სტატისტიკურ ინფორმაციაზე წვდომაც საკმარისი იქნებოდა. მოსწავლეებთან პრევენციული ხასიათის შეხვედრებისა და სამართალდარღვევების თაობაზე ინფორმაციის მისაწოდებლად საჭირო წინაპირობას არ წარმოადგენს სკოლის თითოეული მოსწავლის მიერ ჩადენილი თითოეული დარღვევის შესახებ ინფორმაციის ქონა. ამასთან, კონკრეტული ქცევითი პრობლემის მქონე მოსწავლესთან ან იმ ბავშვთან მუშაობა, რომელიც ხშირად არღვევს სკოლის შინაგანაწესით დადგენილ წესებს, არ წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებას და ასეთი მოსწავლეების მხარდაჭერა მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის პრეროგატივაა. ასეთ დროს შსს-ს ინფორმირებულობა არაპროპორციულად ზრდის ამ სტრუქტურის ინტეგრირების ხარისხს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, თუ რა ლეგიტიმური ინტერესით შეი-

149 დისციპლინაზე, დასჯასა და კონტროლზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს კრიტიკისთვის იხ.: Nodar Tangiashvilia & Gavin Slade, Zero-tolerance schooling: education policy, crime, and democracy in post-Soviet Georgia, Post-Soviet Affairs, 30:5, 416-440, 2014, p. 432.

150 ბრძანება №40/ნ / №18 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს შორის კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის წესის დამტკიცების შესახებ“. მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტი.

ძლება საბუთდებოდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს წვდომა მანდატურის სამსახურის ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაზე და იქ არსებულ ყველა ჩანაწერზე. ამიტომ, სასურველია, კანონმდებლობით გაიმიჯნოს, რა ტიპის დარღვევებზე ექნება წვდომა შინაგან საქმეთა სამინისტროს და რაზე – არა. გარდა ამისა, შესაძლოა, ზოგიერთი უმნიშვნელო ტიპის დარღვევის ელექტრონული აღრიცხვის საჭიროება არც იდგეს, რათა არ მოხდეს სასკოლო კლიმატის გადაჭარბებული ტექნოლოგიური მონიტორინგის ქვეშ მოქცევა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მსგავსი დარღვევები წლობით, მოსწავლის სტატუსის ვადით რჩება მონაცემთა ბაზაში.

5.3. სამართალდამცავი ორგანოების პირდაპირი ინფორმირების ვალდებულება

გარდა ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში დაცულ ინფორმაციაზე წვდომისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლის მანდატური (ხოლო იმ სკოლებში, სადაც არ არის წარმოდგენილი მანდატურის სამსახური, სკოლაში უსაფრთხოების საკითხებზე გადამზადებული უფლებამოსილი პირი) ვალდებულია, დარეკოს 112-ში, თუ სკოლაში ადგილი აქვს ისეთ ინციდენტს, რომელიც შეიცავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის ნიშნებს.[151] პოლიციისადმი მიმართვის ვალდებულება არსებობს ისეთი ქმედების შემთხვევაშიც (თვითდაზიანების, სუიციდური ქცევის), რომელიც მოითხოვს ინტერვენციას. ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პოლიციის ინციდენტში ჩართვის მიზნით ინფორმირების პრაქტიკა სკოლებში არაერთგვაროვანია.

კვლევის ფარგლებში შეფასდა მანდატურის სამსახურის მიერ შეგროვებული სტატისტიკური ინფორმაცია სკოლაში გამოვლენილ ინციდენტებთან დაკავშირებით პოლიციის ინფორმირების შესახებ. გასათვალისწინებელია, რომ მანდატურის სამსახურმა 2021 წელს შეცვალა სტატისტიკური

151 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/6 „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, 25-ე და 26-ე მუხლები.

ინფორმაციის დამუშავების მეთოდოლოგია. ზოგიერთი შინაარსის დარღვევა ერთ კატეგორიად დაჯგუფდა, ასევე, გაჩნდა ახალი კატეგორიებიც. აქედან გამომდინარე, 2019 და 2020 წლის მონაცემებთან 2021 წლის მონაცემების ზუსტი შედარება ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელია, თუმცა მეტად სანდოა ისეთი დარღვევებისთვის, რომელთა სტატისტიკური დამუშავების მეთოდები არ შეცვლილა.

მოსწავლის მიერ ჩადენილ დარღვევებზე პოლიციისთვის შეტყობინების მაჩვენებელი 2019-2021 წლებში[152]

	დარღვევის ტიპი	2019	2020
1.	სავარაუდო ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, მოხმარება, რეალიზაცია, მისი ზეგავლენის ქვეშ სკოლაში გამოცხადება.	29	1
2.	სავარაუდო ალკოჰოლის შეტანა, მოხმარება, რეალიზაცია, მისი ზეგავლენის ქვეშ სკოლაში გამოცხადება.	31	8
3.	მოსწავლის მიერ თანხის/ნივთის უნებართვოდ აღება, შეგროვება, გამორთმევა და სხვა.	63	6
4.	მოსწავლის თვითდაზიანება	35	2
5.	ფიზიკური შეურაცხყოფა	416	85
6.	სიტყვიერი შეურაცხყოფა	27	1
7.	ძალადობის მუქარა	25	6
8.	არაეთიკური ქმედება	16	1
9.	მოსწავლის მიერ სუიციდის მცდელობა სკოლის ტერიტორიაზე	0	1

	დარღვევის ტიპი	2021
1.	სავარაუდო ნარკოტიკული საშუალებები (მარიხუანა), მისი ანალოგი, პრეკურსორი, ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერებები	2
2.	სავარაუდო ალკოჰოლის შეტანა, მოხმარება, რეალიზაცია, მისი ზეგავლენის ქვეშ სკოლაში გამოცხადება.	10
3.	ნივთის უნებართვოდ აღება, შეგროვება, გამორთმევა და სხვა.	7
4.	მოსწავლის თვითდაზიანება	7
5.	ფიზიკური შეურაცხყოფა	198
6.	სიტყვიერი შეურაცხყოფა	17
7.	ძალადობის მუქარა	12
8.	არაეთიკური ქმედება	11
9.	მოსწავლის მიერ სუიციდის მცდელობა სკოლის ტერიტორიაზე	5

152 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 21.07.2022 წლის №MES 6 22 0000828469 წერილი, დანართი N2.

10.	უცხო პირის ყოფნა სკოლის ტერიტორიაზე	32	1
11.	სასკოლო ინვენტარის დაზიანება	4	3
12.	აკრძალული ნივთები (მათ შორის მაღალი რისკის მქონე აკრძალული ნივთები: ელექტროშოკი, პნევმატური იარაღი, სავარაუდო ცივი იარაღი, ბასრი საგანი)	181	29
13.	საგაკვეთილო პროცესზე მოსწავლის არყოფნა	9	2
14.	გაკვეთილის ჩაშლა/ ჩაშლის მცდელობა მოსწავლის მიერ	1	0
15.	თამბაქოს მოხმარება	3	0
16.	კანონიერ მოთხოვნაზე დაუმორჩილებლობა	2	0
17.	სამედიცინო ფაქტები	12	0
18.	სკოლაში მომხდარი სხვა ფაქტები	260	32
სულ		1146	178

10.	უცხო პირის ყოფნა სკოლის ტერიტორიაზე	10
11.	სკოლის ქონების ხელყოფა	4
12.	აკრძალული ნივთების ქონა (რეალურს მიმსგავსებული სათამაშო იარაღი, სამართებელი, მარიხუანის მოხმარებისთვის განკუთვნილი ე.წ. სათითე)	5
13.	მაღალი რისკის შემცველი აკრძალული ნივთების (მაგ:ელექტროშოკი, პნევმატური იარაღი, სავარაუდო ცივი იარაღი, ბასრი საგანი) ქონა	48
14.	მაღალი რისკის შემცველი აკრძალული ნივთების (მაგ: პნევმატური იარაღი, სავარაუდო ცივი იარაღი) გამოყენება	8
15.	მოსწავლის დისციპლინური დარღვევები	16
16.	მოსწავლის დესტრუქციული ქცევა	4
17.	მედიკამენტის ქონა	1
18.	ეკონომიკური ძალადობა	7
19.	კიბერძალადობა	18
20.	სექსუალური ძალადობა	2
21.	სავარაუდო საქმის გარჩევა	30
22.	სხეულის განზრახ დაზიანება	12
23.	ფსიქოლოგიური ბულინგი	2
24.	სკოლაში მომხდარი სხვა დარღვევები	12
		448

რაც შეეხება 2022 წელს, მანდატურის სამსახურის ინფორმაცია ჩაშლილად არ შეიცავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმირების საფუძვლებს. სამსახურის წერილით მხოლოდ ის ირკვევა, რომ 2022 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრო ჯამში 995 ინციდენტზე იყო ინფორმირებული.[153] წარმოდგენილი მონაცემებით ჩანს, რომ კოვიდ 19-ის პანდემიის დროს მოქმედმა დისტანციური და ჰიბრიდული სწავლების რეჟიმმა არსებითი გავლენა მოახდინა ინციდენტების რაოდენობასა და შსს-ს ინფორმირებულობის მაჩვენებელზე. თუ პანდემიამდელ პერიოდში, 2019 წელს, პოლიციას 1146 ინციდენტის შესახებ აცნობეს, 2020 და 2021 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი 178 და 448 ერთეულამდე იყო შემცირებული. თუმცა პანდემიის მწვავე ეტაპის გადავლის შემდგომ, 2022 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია 995 შემთხვევაზე მიაწოდეს.

გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციით ასევე დგინდება, რომ წინა წლებში (2019, 2020, 2021), მანდატურები სკოლებში დაფიქსირებული დარღვევების შესახებ პოლიციას ინფორმაციას აწვდიდნენ კანონმდებლობით პირდაპირ გაუთვალისწინებელი საფუძვლის არსებობისასაც. მაგალითად, ასეთ საფუძვლად მითითებულია „არაეთიკური ქმედება“, „სიტყვიერი შეურაცხყოფა“ და სხვ.[154] ეს არ არის მხოლოდ პრაქტიკის პრობლემა. კანონმდებლობა ნათლად უნდა მიუთითებდეს, რომ მარტოოდენ სკოლის შინაგანაწესის დარღვევა არ უნდა იწვევდეს საქმეში სამართალდამცავი ორგანოების ჩართვას. გარდა ამისა, შესაძლოა, არც ის იყოს მიზანშეწონილი, რომ, კანონმდებლობის მიხედვით, ნებისმიერი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ეჭვის არსებობა იმთავითვე ხდება პოლიციისთვის შეტყობინების საფუძველი. მოსწავლეებისადმი ზრუნვის ვალდებულებიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში, მათ მიმართ სხვაგვარი მიდგომის გამოყენება შეიძლება იყოს სასურველი, რომელიც *a priori* პოლიციურ ღონისძიებებს არ მიანიჭებს უპირატესობას. ამდენად, მიზანშეწონილია, ამ საკითხზე განათლების სპეციალისტების, იურისტების, ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკებისა

153 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 06.02.2023 წლის MES 7 23 0000131381წერილი .

154 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 21.07.2022 წლის N774509 წერილი.

და სხვა შესაბამისი დარგის ექსპერტების ჩართულობით, განათლების სამინისტრომ ახლებური ხედვის შემუშავებაზე იმსჯელოს.

5.3.1. სასკოლო ინციდენტებზე სამართალდამცავი ორგანოს ინფორმირების პრაქტიკული ასპექტები

პრაქტიკაში დღემდე პრობლემურია სკოლისა და მანდატურის ვალდებულება, შესაბამისი განაცხადით მიმართოს 112-ს სკოლაში არსებული ინციდენტის დროს. მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს ხელმძღვანელი, ეკატერინე მარხვაშვილი აღნიშნავს, რომ მანდატურის სამსახური ხშირად გამხდარა კრიტიკის ობიექტი იმის გამო, რომ მოსწავლეთა მიერ ჩადენილ შესაბამის დარღვევებზე ზოგჯერ პოლიციის ინფორმირება უწევს. მისი თქმით, არსებობს დარღვევები, რომლებიც სავალდებულო რეაგირებას მოითხოვს, მაგალითისთვის კი სკოლაში ცივი იარაღის ტარება მოჰყავს. იგი განმარტავს, რომ როდესაც სასწორის ერთ მხარეს დევს მოსწავლის შესაძლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, მეორე მხარეს კი მოსწავლეების სიცოცხლე და ჯანმრთელობა, არჩევანი აუცილებლად ამ უკანასკნელზე უნდა გაკეთდეს. გარდა ამისა, სამმართველოს უფროსი აღნიშნავს, რომ სკოლაში ერთგვაროვანი მიდგომისა და სტანდარტების არსებობა აუცილებელია და მოსწავლეებთან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომით შესაძლოა, სკოლაში სამართლიანობისა და თანასწორობის აღქმა დაზიანდეს. ამას ემატება მეორე საკითხიც, კერძოდ, სკოლაში მომხდარი ტრაგედიების დროს მანდატურის სამსახურსა და სკოლაზე პასუხისმგებლობის დაკისრება. სამმართველოს ხელმძღვანელის თქმით, *„თუ მოხდა დაჭრა, იძახიან, მანდატური სად იყო, რეაგირება რატომ არ მოახდინაო“.* შესაბამისად, სკოლის მანდატურები მოქმედებენ კანონის შესაბამისად და ნებისმიერ ქმედებაზე, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს კანონდარღვევას, მიმართავენ სამართალდამცავი ორგანოს ინფორმირებას.[155]

155 ინტერვიუ მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოსა და ფსიქოსოციალური ცენტრის ხელმძღვანელებთან (ინტერვიუ 01).

სკოლის მანდატურები ადასტურებენ სამმართველოს უფროსის ნათქვამს. მათი განმარტებით, ისინი ფიზიკური დაპირისპირების ან სკოლაში აკრძალული ნივთის, მაგალითად, ცივი იარაღის აღმოჩენის შემთხვევაში, უკავშირდებიან 112-ს, რის შემდეგაც სკოლაში მიდის პოლიცია და აფასებს სიტუაციას.[156] მანდატურთა განცხადებით, მათ ჰქონიათ სკოლაში ცივი იარაღის, დანის აღმოჩენის შემთხვევა. კერძოდ, მოსწავლე აკეთებდა ისეთ მოძრაობებს, რომ ჩნდებოდა მის მიერ დანის ფლობის საფუძვლიანი ეჭვი. მას ჩაუტარდა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება, რამაც დაადასტურა ეჭვი, რის შედეგადაც ფაქტის შესახებ ეცნობათ ბავშვის მშობელსა და სამართალდამცავ ორგანოს. მანდატურთა მონათხრობით, ვინაიდან ქმედება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, ჩატარდა ადმინისტრაციული სამართალწარმოება, რომლის შედეგადაც მოსწავლეს მიეცა გაფრთხილება. მანდატურთა თქმით, ჰქონიათ სკოლაში პოლიციის გამოძახების პრეცედენტი ფიზიკური კონფლიქტის შემთხვევაშიც. მათი მონათხრობით, მოსწავლეთა შორის ფიზიკური დაპირისპირების შემდგომ მანდატურებმა გამოარკვიეს კონფლიქტის გარემოებები, საქმეში ჩაერთო სოციალური მუშაკი და მოსწავლეებს გაესაუბრნენ. მოსწავლეები უარს აცხადებდნენ შერიგებაზე და იგრძნობოდა, რომ დაპირისპირებას აუცილებლად მოჰყვებოდა გაგრძელება სკოლის გარეთ, შესაძლო საქმის გარჩევის სახით. ამიტომ საჭირო გახდა პოლიციის ინფორმირებულობა. სკოლაში გამოცხადდნენ მართლწესრიგის ოფიცრები, ბავშვები კი გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც მშობლების თანდასწრებით გაესაუბრნენ. მანდატურთა თქმით, პოლიციის საქმეში ჩართვის შედეგად ბავშვებმაც და მათმა მშობლებმაც ერთმანეთთან გაარკვიეს ურთიერთობა და ინციდენტი ამოიწურა, ხოლო შემდგომ დღეებში ისინი სკოლას დაუბრუნდნენ და მათ შორის დაძაბულობა აღარ ყოფილა.[157]

აღსანიშნავია, რომ ფიზიკურ კონფლიქტში სამართალდამცავი ორგანოს ჩართვა ხშირად შესაძლოა, სიტუაციის ესკალაციის პრევენციის ერთადერთ სწორ გზას წარმოადგენდეს, თუმცა, ამავდროულად,

156 ინტერვიუ თბილისის საჯარო სკოლების მანდატურებთან (ინტერვიუ 04).

157 იქვე.

შეიძლება პრობლემური გახდეს სკოლაში მოსწავლეთა შორის კონფლიქტის დროს რუტინულად პოლიციის გამოძახებაც. მნიშვნელოვანია, სკოლას ჰქონდეს იმის რესურსი, რომ სწორად შეაფასოს კონფლიქტის სიმწვავე ან გამწვავების საფრთხე და განიხილოს ის შესაძლო გზები, რომლითაც დასტაბილურდებოდა მოსწავლეებს შორის ურთიერთობა, მათ შორის მედიატორისა და მშობლის ჩართულობით. შესაბამისად, ინციდენტის დარეგულირების პროცესში პოლიციის ჩართვა უნდა ხდებოდეს მაშინ, როდესაც სკოლა თავად მოკლებულია კონფლიქტის აღმოფხვრის ან მედიაციის შესაძლებლობას და დაპირისპირებაში ჩართული მხარეების ქმედებით აშკარაა, რომ არსებობს კონფლიქტის გაგრძელების ან უფრო გამწვავების რისკი.

ეკატერინე მარხვაშვილი აღნიშნავს, რომ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც თავად სკოლის პედაგოგს ან დირექტორს მანდატურის ყურამდე არ მიაქვთ ინციდენტების შესახებ ინფორმაცია, რადგან მანდატურს პოლიციის ინფორმირების ვალდებულება ექნება.[158] ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელის, ნინო შატბერაშვილის განმარტებით, ზოგიერთ სკოლაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც პოლიციისადმი მიმართვის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც დამდგარა. ამის გამო, ზოგი პედაგოგი ეჭვობს, სწორად მოიქცა თუ არა მაშინ, როდესაც პასუხისმგებელ რგოლამდე მიიტანა ინფორმაცია დარღვევის შესახებ.[159]

სამმართველოს ხელმძღვანელების ეს მოსაზრებები დასტურდება სხვა წყაროებითაც. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშიდან ცნობილი ხდება, რომ პრაქტიკაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პედაგოგიური კოლექტივის თანამშრომლობის ნაკლებობა მანდატურებთან.[160] მაგალითად, მანდატურების თქმით, *„მასწავლებელი,*

158 ინტერვიუ მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოსა და ფსიქოსოციალური ცენტრის ხელმძღვანელებთან (ინტერვიუ 01).

159 იქვე.

160 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა, სპეციალური ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, (2017), გვ. 21.

მდგომარეობის გამწვავებამდე არ ატყობინებს მანდატურს ბავშვებს შორის კონფლიქტის შესახებ, რაც აფერხებს მანდატურის მხრიდან ეფექტიან და დროულ რეაგირებას".[161] ანგარიშის თანახმად, ასევე თავს იჩენს მანდატურსა და დირექტორს შორის თანამშრომლობის სირთულე.[162] ბუნებრივია, ეს პრობლემა არ უნდა განზოგადდეს ყველა სკოლაზე. ამასთან, სახალხო დამცველის ხსენებული ანგარიშის გამოქვეყნებიდან რამდენიმე წელია გასული, თუმცა ანგარიშში გაჟღერებულ დაკვირვებებს ნაწილობრივ კვლავ ადასტურებს კვლევის ფარგლებში სკოლის დირექტორსა და მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციაც.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული სკოლის დირექტორი ჰყვება, რომ ხშირად სკოლას თავადაც შეუძლია კონკრეტული ინციდენტის განმუხტვა. მისი გამოცდილებით, მოსწავლესთან საუბრით უფრო მარტივად გვარდება ზოგიერთი საკითხი, ვიდრე სკოლაში მართლწესრიგის ოფიცრის, პოლიციისა და გამომძიებელთა ჯგუფის გამოძახებით. დირექტორი იხსენებს ორ ინციდენტს – პირველ მათგანზე სკოლაში გამოიძახეს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი, ხოლო მეორე შემთხვევაში სკოლამ საკუთარი რესურსით შეძლო პრობლემის აღმოფხვრა.[163] სკოლის მმართველის თქმით, სკოლაში ბულინგის სავარაუდო შემთხვევაზე მანდატურებმა, სამსახურის მითითებისამებრ, დარეკეს 112-ში, რასაც მოჰყვა სკოლაში მართლწესრიგის ოფიცრისა და კრიმინალური პოლიციის მისვლა. დირექტორის თქმით, ბავშვის ფსიქიკისთვის შესაძლოა დამანგრეველი გავლენა ჰქონოდა აღნიშნულს, ვინაიდან ისინი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს დაკითხვის მიზნით, რაც შუაღამემდე გაგრძელდა. ამან მშობლების აგრესიაც გამოიწვია სკოლისა და მანდატურების მიმართ. დირექტორი ამბობს, რომ ხშირად სწორედ გადაჭარბებული საპოლიციო რეაქციის გამო, სკოლის დირექციას და მანდატურებსაც უჩნდებათ სურვილი, რომ ფაქტები დამალონ. ასეთ დროს, სამართალდამცავი

161 იქვე.

162 იქვე.

163 ინტერვიუ თბილისის საჯარო სკოლის დირექტორთან (ინტერვიუ 02).

ორგანოები *„დამხმარე რგოლი კი აღარ გამოდიან, არამედ ხელისშემშლელი ფაქტორი“.* საბოლოოდ, მითითებულ ინციდენტში ბულინგზე ეჭვი არ დადასტურდა. სკოლის ხელმძღვანელის თქმით, შესაძლოა, პოლიციამ უზრუნველყოს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, თუმცა ამ დროს უგულებელყოფილი იყოს ბავშვის ფსიქოლოგიური უსაფრთხოება, რაც, სასკოლო უსაფრთხოების არანაკლებ მნიშვნელოვან ქვაკუთხედს უნდა წარმოადგენდეს.[164]

იმის მაგალითად, რომ არასაპოლიციო რეაგირებითაც შეიძლება სკოლაში კონკრეტული ინციდენტის განმუხტვა, დირექტორი მეორე შემთხვევასაც იხსენებს, რომელიც სკოლის პერსონალის ჩართულობით აღმოიფხვრა. მისი თქმით, სკოლაში გამოვლინდა ქურდობის ფაქტი, რაც დანაშაულის აშკარა ნიშნებს შეიცავს და შესაბამისად, სკოლის მანდატურებს ჰქონდათ პოლიციის ინფორმირების ვალდებულება, თუმცა დირექტორი და მანდატური გაესაუბრნენ იმ კლასის მოსწავლეებს, სადაც ფაქტი დაფიქსირდა და მოპარული ნივთის ნებაყოფლობითი დაბრუნება სთხოვეს. დირექტორის თქმით, ერთ-ერთმა ბავშვმა საუბრიდან მალევე პირადად მიმართა მას და აღიარა ჩადენილი. შედეგად ინციდენტი აღმოიფხვრა. დირექტორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული შემთხვევაც არანაკლები სიმძაფრით ჩაივლიდა, საქმეში რომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი ჩართულიყო. შესაძლოა, გახმაურებულიყო კიდეც ბავშვის ვინაობა, ამ შემთხვევაში კი მოსწავლის შესახებ მხოლოდ სკოლის დირექტორმა, მანდატურებმა და ბავშვის მშობელმა იცოდნენ. სკოლის ხელმძღვანელის თქმით, ერთი მხრივ, შესაძლოა, ბავშვი აარიდეს პოლიციასთან ურთიერთობას და მოსალოდნელ ფსიქოლოგიურ სტრესს, მაგრამ იმის გამო, რომ არ იმოქმედეს კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, მათ ასევე ვერ შეძლეს ბავშვის გადამისამართება ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში, შესაძლო კლეპტომანიის მიმართულებით კონსულტაციის მიღების მიზნით. ამ შემთხვევაში, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში ბავშვთან გასაუბრების შედეგად დადგინდებოდა, რომ ერთ-ერთ სკოლაში ქურდობის ფაქტი მოხდა, რაც სათანა-

164 იქვე.

დო წესით არ შეატყობინეს მანდატურის სამსახურსა და სამართალდამცავ ორგანოებს. ამას კი შესაძლოა დირექტორის ან მანდატურების დისციპლინური პასუხისმგებლობა მოჰყოლოდა.[165]

რაც შეეხება მოსწავლისთვის ცივი იარაღის აღმოჩენის შემთხვევას, დირექტორი იხსენებს, რომ ასეთი შემთხვევა ჰქონია და მანდატურებთან თათბირის საფუძველზე მიუღია ნივთის ჩამორთმევისა და მშობლისთვის შეტყობინების გადაწყვეტილება. დირექტორის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ იცის, რომ მოსწავლეს არ აქვს ბრაზის მართვის პრობლემა ან შემჩნეული არ არის მსგავსი შინაარსის დარღვევებში, ის აღნიშნულ დარღვევასთან დაკავშირებით სიტყვიერ შენიშვნას მისცემს და მშობელთან ერთად ეცდება მისი ქცევის შეცვლას. მისივე განმარტებით, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩართავს საქმეში, თუ არსებობს მოსწავლის, ან მის მიერ სხვისი დაზიანების რისკი, ან მშობელი სკოლიდან მიღებულ ინფორმაციას არაგულისხმიერად ეკიდება და არ თანამშრომლობს სკოლის დირექციასთან. ანალოგიური მიდგომა აქვს დირექტორს სკოლაში აღმოჩენილი დარღვევების ელექტრონულ ბაზაში დაფიქსირების თაობაზეც. მისი აზრით, ყველა დარღვევაზე აღრიცხვის ფურცლის შევსება კონტრპროდუქტიულია, ვინაიდან, თუ მას აღარ მოჰყვება რეაგირება, ანუ მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრება, მოსწავლეები სერიოზულად აღარ აღიქვამენ. დირექტორის თქმით, მის სკოლაში დარღვევის აღრიცხვის ფურცელს არ იყენებენ, როგორც სადამსჯელო ღონისძიებას, არამედ, როგორც სიტუაციის განმუხტვის მექანიზმს. მისივე განმარტებით, სკოლაში იმაზე მეტი ოქმიც შეიძლება დაწერილიყო, ვიდრე ახლა არის დაწერილი, თუმცა ეს არის სკოლის გააზრებული პოლიტიკა, რაც დაფუძნებულია მოსწავლის მიმართ ალტერნატიული ზრუნვის პრინციპებზე.[166]

ინტერვიუების ფარგლებში გამოკითხული მასწავლებელიც მიიჩნევს, რომ სკოლაში გამოვლენილ ზოგიერთ დარღვევაზე უმჯობესია,

165 იქვე.

166 იქვე.

მოსწავლესა და მის მშობელთან კომუნიკაციის გზით აღმოიფხვრას ინციდენტი, ვიდრე დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შედგენით ან პოლიციის გამოძახებით. პედაგოგის თქმით, თუ დაინახავს, რომ მოსწავლემ სკოლაში მიიტანა ცივი იარაღი ან, მაგალითად, მარიხუანა, შეეცდება, თავად ჩამოართვას აკრძალული საგანი და შეატყობინოს კლასის დამრიგებელსა და მშობელს. მასწავლებლის განმარტებით, მან იცის, რომ ასეთ ინციდენტზე რეაგირება მანდატურის პრეროგატივაა, თუმცა შიშობს, რომ მანდატურის ან სკოლის დირექციისგან *„იქნება უფრო ხისტი დამოკიდებულება, რაც ამ ბავშვში უარეს შედეგებს გამოიწვევს, ვიდრე [ქმედების] გააზრებას“.*[167] მასწავლებლის თქმით, თუ ცივი იარაღი აღმოაჩნდა ისეთ მოსწავლეს, რომელიც აქამდეც ყოფილა შემჩნეული ანტისოციალურ ქცევაში ან სკოლაში აღმოაჩინა დაუდგენელი ფხვნილი, სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალება, იგი საქმის კურსში ჩააყენებს არა სკოლის დირექტორს, არამედ მანდატურს. ამ შემთხვევაშიც, მანდატურისადმი მიმართვის მოტივი იქნებოდა ის ფაქტი, რომ შესაძლოა მანდატურის რეაგირება უფრო პროპორციული იყოს. კერძოდ, მოსწავლე გადამისამართდეს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში და თავიდან ავიცილოთ მისი სკოლიდან, მინიმუმ, დროებით გარიცხვა (რა გადაწყვეტილებაც შესაძლოა, დირექტორს მიეღო). [168]

შეიძლება ითქვას, რომ მანდატურს, სკოლის დირექციასა და პედაგოგებს შორის არსებული ურთიერთობა მეტწილად განსაზღვრავს მათი სამომავლო პოზიტიური თანამშრომლობის საკითხს. ეს აისახება როგორც კონკრეტული ინციდენტის მანდატურისთვის შეტყობინების პროცესზე, ასევე, ინციდენტის მართვისთვის საჭირო რეაგირების შესახებ ერთობლივ გადაწყვეტილებაზე. სწორედ ამიტომ, სკოლების გამოცდილება როგორც დარღვევების ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაციის, ისე სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირების კუთხით, შესაძლოა, მკვეთრად განპირობებული იყოს სკოლის კოლექტივსა და მანდატურებს შორის არსებული ურთიერთობითა და სკოლაში არ-

167 ინტერვიუ თბილისის საჯარო სკოლის მასწავლებელთან (ინტერვიუ 03).

168 იქვე.

სებული კლიმატით. ასევე, შესაძლოა, რომ განსხვავება კიდევ უფრო დიდი იყოს ქალაქისა და მცირე ზომის დასახლებებს შორის, სადაც სკოლა უფრო ხშირად საკუთარი რესურსებით, ლოკალურად არსებული კონტექსტებისა და ურთიერთობების დინამიკის გათვალისწინებით შეიძლება იღებდეს გადაწყვეტილებებს გამოვლენილი დარღვევის აღრიცხვის ან მათზე რეაგირების კუთხით.

6. ფსიქოსოციალური სამსახურის მუშაობა სკოლებში

სასკოლო უსაფრთხოებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების მხარდაჭერასა და განვითარებას. ამ კუთხით ერთ-ერთი გადამწყვეტი სამუშაო ფსიქოსოციალურმა სამსახურებმა უნდა გაწიონ. მიიჩნევა, რომ ე.წ. ტალღოვანი მოდელი კარგად ესადაგება დასახელებულ ამოცანას.[169] „ტალღოვან მოდელში" სკოლის საქმიანობა განიხილება სამ დონეზე. პირველი გულისხმობს ნებისმიერი სახის ჩარევას, რომელსაც მოსწავლისთვის დადებითი სარგებელი მოაქვს (ტრენინგებს, პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმებს, სკოლის საერთო პოლიტიკის განვითარებას, კურიკულუმის გამდიდრებასა და ა.შ.),[170] მეორე დონე – სპეციფიკური საჭიროებების მქონე მოსწავლეების (მოსწავლეთა ჯგუფების) გამორჩევას და მათთვის შესაბამისი მხარდაჭერის გზების შეთავაზებას,[171] მესამე ეტაპი კი ყველაზე მგრძნობიარე მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მუშაობაში მდგომარეობს. ხშირად *„ასეთ მოსწავლეებს აქვთ ისეთი სერიოზული, ხანგრძლივი და მრავალფეროვანი პრობლემები, რომლებიც მოითხოვს სპეციალისტთა მრავალპროფილიანი გუნდის დახმარებას და ამ საჭიროების იდენტიფიცირება სკოლის პასუხისმგებლობაა".*[172]

უსაფრთხოების ალტერნატიული, ზრუნვაზე ორიენტირებული მოდელის ცენტრალური კომპონენტი სკოლებში, ადგილზე, ფსიქოსოციალური მხარდაჭერის მუდმივობაა. არსებობს განსხვავებული [ქვე] მოდელები, რომლებიც ცდილობს ფსიქოსოციალური მომსახურება სკოლის კონტინგენტის, სამოქმედო არეალისა და განსხვავებული ფუნქციური დატვირთვის მეშვეობით სპეციფიკურ სიტუაციებს მოა-

169 ნათია ნაცვლიშვილი, უსაფრთხო სკოლა, კრებულში *თანამედროვე სკოლის მართვა,* მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (2021), გვ. 235.

170 იქვე.

171 იქვე.

172 იქვე.

რგოს,[173] თუმცა მიიჩნევა, რომ ფსიქოსოციალური სამსახურის მოდელი სკოლაში, სულ მცირე, ერთი სოციალური მუშაკისა და ერთი ფსიქოლოგის არსებობას უნდა ეფუძნებოდეს.[174]

ზოგადად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური მუშაკების ფუნქციაა, უზრუნველყონ *„კავშირი სკოლას, ოჯახსა და საზოგადოებას შორის. სკოლაში სოციალური სამუშაო ფოკუსირებულია, დაეხმაროს მოსწავლეებს სოციალური, ემოციური, ქცევითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში“.*[175] სოციალური მუშაკის ინტერვენციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როცა მოსწავლეს ისეთ პრობლემებთან უწევს გამკლავება, როგორებიცაა: ჩაგვრა, ძალადობა, რთული ფინანსური მდგომარეობა, სტრესი, აკადემიური მოსწრება და სხვ.[176] სოციალური მუშაკი არის ერთგვარი მედიატორი (მრჩეველი) სკოლის ადმინისტრაციას, ოჯახსა და მოსწავლეთა ჯგუფებს შორის.[177] ამგვარად, სოციალური მუშაკი ზრუნავს თითოეული მოსწავლისთვის განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობისა და უკეთეს გარემოში განვითარების უზრუნველსაყოფად.[178]

სკოლებში ფსიქოსოციალური სამსახურების მუშაობის მნიშვნელობა მანდატურის სამსახურის მიერვე არის აღიარებული.[179] სამსახურის სისტემაში ინტეგრირებულია ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სერვისები (რომელსაც სოციალური მუშაობის კომპონენტი 2019 წელს დაემატა)[180] და მოსწავლეებს ან მათ კანონიერ წარმომადგენ-

173 დეტალურად იხ.: მაია ცირამუა, ფსიქოსოციალური სამსახური საჯარო სკოლებში, კრებულში უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, (2011), გვ. 82-83.

174 იქვე, გვ. 83.

175 სოფიო კილაძე და ანა ფირცხალაშვილი, სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო, (2018), გვ. 138, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/42xjiAn, წვდომის თარიღი: 31.03.2023.

176 იქვე, გვ. 139.

177 იქვე.

178 იქვე, გვ. 138-139.

179 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, 2019-2020 წლებში მიღწეული პროგრესი და 2021 წლის განვითარების გეგმა, გვ. 14.

180 იქვე, გვ. 4.

ლებს მისი მომსახურების მიღება შეუძლიათ ცენტრისადმი მიმართვის გზით. საჭიროების შემთხვევაში, თავად მანდატურსაც შეუძლია მოსწავლის გადამისამართება სათანადო მომსახურების ან კონსულტაციის მისაღებად.[181] გარდა ამისა, მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ფსიქოსოციალური მომსახურების მიღება შეუძლიათ სატელეფონო ან ონლაინკონსულტაციით (ვებგვერდზე befriend.mes.gov.ge) და მობილური სატელეფონო აპლიკაციის საშუალებით.[182] ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრისთვის მიმართვის სტატისტიკა[183] მზარდია და შემდეგნაირად გამოიყურება:

2020 წ.	მიმართვიანობა: 928	
	შიდა რეფერირებით: 608	თვითდინებით: 320
2021 წ.	მიმართვიანობა: 1955	
	შიდა რეფერირებით: 1315	თვითდინებით: 640
2022 წ.	მიმართვიანობა: 3556	
	შიდა რეფერირებით: 2633	თვითდინებით: 923

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური მუშაობის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2021 წელს, როცა სოციალური მუშაკების სერვისების მიწოდება უშუალოდ სკოლებში, ადგილზე დაიწყო. პირველ ეტაპზე, სოციალური მუშაობის კომპონენტით, მანდატურის სამსახური შევიდა 36 საჯარო სკოლაში (თბილისი, მცხეთა, თელავი, რუსთავი, გორი, ახალციხე, ამბროლაური, იმერეთი, ფოთი, ბათუმი, ხელვაჩაური).[184] ამავე წლიდან საპილოტე რეჟიმში ამოქმედდა სასკოლო მედიაციის პროცესი.[185] მედიაციის მიზანი *„ადრეული და ეფექტური ჩარევით, კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გა-*

181 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

182 იქვე, მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტი.

183 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 21.07.2022 N MES 6 22 0000 828469 და 06.02.2023 წლის MES 7 23 0000131381 წერილები.

184 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, ანგარიში, (2021), გვ. 2.

185 იქვე, გვ. 8.

დაწყვეტა, პროაქტიული რეაგირება და პრევენციაა“.[186] ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, *„ამჟამად გადამზადებულია, მინიმუმ, 12 მედიატორი, რომელიც მზად არის, გაუძღვეს მედიაციის პროცესს“.*[187] მედიაციის საპილოტე პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა, რომ 2022 წლის ზაფხულის მდგომარეობით, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრმა ერთ შემთხვევაზე მიიღო ინფორმაცია, თუმცა მედიაცია არ შედგა, რადგან მონაწილე მხარეებმა უარი განაცხადეს სასკოლო მედიაციაში ჩართულობაზე. მანდატურის სამსახურის ინფორმაციით, საპილოტე პროგრამა გრძელდება და შედეგები დასრულების შემდგომ გახდება ცნობილი.[188]

2022 წლის ზაფხულის მდგომარეობით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში ქვეყნის მასშტაბით დასაქმებულია 39 ფსიქოლოგი, რომლებიც წარმოდგენილნი არიან მხოლოდ ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრებში. ასევე, ცენტრში დასაქმებულია 54 სოციალური მუშაკი და 3 პროფესიული ზედამხედველი. ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი, სოციალური მუშაობის კომპონენტით, საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილია 49 საჯარო სკოლაში.[189]

საგულისხმოა, რომ პროფესიულ წრეში არსებობს კრიტიკა ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ინსტიტუციურ როლსა და ფუნქციაზე. სიმონ ჯანაშიას აზრით, მანდატურის სამსახურში ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ინტეგრირება ამ უკანასკნელს სავალდებულო განათლების სისტემის ნაწილად აქცევს, რაც, მისი აზრით, გაუმართლებელია. სპეციალისტი მიუთითებს, რომ სკოლის მიერ ბავშვის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში გადამისამართება შესაძ-

186 იქვე, გვ. 9.

187 ინტერვიუ მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოსა და ფსიქოსოციალური ცენტრის ხელმძღვანელებთან (ინტერვიუ 01).

188 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 21.07.2022 წლის MES 6 22 0000828469 და 21.10.2022 წლის MES 6 0001333935 წერილები.

189 იქვე.

ლოა, მოსწავლის დისციპლინირების დამატებით ბერკეტად იქცეს. გარდა ამისა, შესაძლოა, ბავშვის ფსიქოსოციალურ ცენტრში გადამისამართების მიზეზად მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არსებული კულტურული განსხვავებაც კი იქცეს. ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღმოჩნდება, რომ მოსწავლეს არანაირი ფსიქოემოციური პრობლემა არ აღენიშნება, მას მაინც ექნება ის ტრავმული გამოცდილება, რომ იგი სკოლამ/მასწავლებელმა „სამკურნალოდ გაგზავნა“.[190]

აღსანიშნავია, რომ მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლები ადასტურებენ ამგვარ ტენდენციას: *„ზოგჯერ ჩვენთან გამოშვება არის დასჯის და შანტაჟის მექანიზმი, რომ ფსიქოლოგთან გაგიშვებ და აქ რომ მოდიან, ისეთი შეშინებულები არიან და რა ელოდებათ, არ იციან“.* ფსიქოლოგების თქმით, ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა ფსიქოლოგიური მომსახურების მიღებასთან დაკავშირებული სტიგმაც იყოს. გარდა ამისა, სპეციალისტები საუბრობენ მასწავლებელთა არასათანადო მომზადების დონეზე, როცა საქმე მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ საჭიროებებს ეხება. ინტერვიუს დროს დასახელდა შემთხვევა, რომ მათთან მოსწავლის გადამისამართების საფუძველი ერთხელ ისიც გახდა, რომ ბავშვი თანატოლებს „მიზანმიმართულად უღიტინებდა“. ფსიქოლოგების თქმით, ამის მიზეზი ზოგჯერ ისაა, რომ მასწავლებლებმა შესაძლოა, არ იციან, თუ რა სახის ქცევა საჭიროებს კორექციას და არ ფლობენ კლასის ეფექტიანად მართვის უნარს.[191]

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფნით, ჯანაშია ხედავს ბავშვის ქცევის ფორმირებაში სახელმწიფოს ჭარბი ჩარევის საფრთხეს. მისი თქმით, *„სკოლა უნდა მუშაობდეს როგორც საზოგადოება და არა სპეციალისტების კრებული“.* სასურველ მოდელში სკოლის მასწავლებელი უნდა ფლობდეს საბაზისო მომზადებას ფსიქოლოგიის საკითხებში, რის საფუძველზეც

190 ინტერვიუ განათლების ექსპერტ სიმონ ჯანაშიასთან (ინტერვიუ 06).

191 ინტერვიუ მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგებთან (ინტერვიუ 05).

სკოლაში ფსიქოლოგის საჭიროებაც შეიძლება არ იდგეს.[192] მისივე განმარტებით, აღნიშნული, მასწავლებელთა პროფესიულ გაძლიერებასთან ერთად, სასკოლო კულტურისა და სასკოლო კულტურის მართვის სისტემის ძირეული ცვლილების შედეგად გახდება შესაძლებელი, სადაც მასწავლებელი თავს არა კონკრეტული საგნის სწავლების მიზნით დაქირავებულ სპეციალისტად მიიჩნევს, არამედ მოსწავლეთა საზოგადოების წევრებად აღზრდის მიზნებს მოემსახურება.[193]

ამასთან, ჯანაშია პრობლემურად აღიქვამს ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში არსებულ პერსონალურ ინფორმაციაზე სახელმწიფოს წვდომის საკითხს. მისი თქმით, საფრთხის შემცველია ბავშვობის ან მოზარდობის ასაკში მოქალაქის შესახებ დამუშავებულ ინფორმაციაზე სახელმწიფოს წვდომა. ექსპერტი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ისეთ შემთხვევებს, როცა მოქალაქის პოლიტიკური ან საზოგადოებრივი პოზიციის გათვალისწინებით, მის შესახებ არსებული ინფორმაცია სახელმწიფომ შესაძლოა მადისკრედიტებლად, ან საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად გამოიყენოს.[194]

სოციალური სამართლიანობის ცენტრმა გამოითხოვა ინფორმაცია, მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. მანდატურის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[195], ისე, როგორც დარღვევების შემთხვევაში, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაცია ინახება მოსწავლის სტატუსის ვადით. თითოეული მოსწავლის შემთხვევაში, ელექტრონულ სისტემაში (erofficers.emis.ge) ჩანაწერი შეიცავს შემდეგ მონაცემებს: მოსწავლის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, ცენტრში მიმართვის საფუძველი, მიმართვის თარიღი, მოსწავლის ემოციური მდგომა-

192 ინტერვიუ განათლების ექსპერტ სიმონ ჯანაშიასთან (ინტერვიუ 06).

193 იქვე.

194 იქვე.

195 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 21.10.2022 წლის N MES 6 22 0001333935 წერილი.

რეობის შესახებ ინფორმაცია, ანამნეზი და მოსწავლესთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებები.

კრიტიკულად უნდა შეფასდეს ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების არსებული პრაქტიკა. სავარაუდოდ, მონაცემების შენახვის საჭიროება უნდა გამომდინარეობდეს იქიდან, რომ ცენტრის ფსიქოლოგებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, გაეცნონ მოსწავლის ანამნეზს ცენტრში განმეორებითი ვიზიტის შემთხვევაში ან, თუ ფსიქოლოგიური მომსახურება წლების განმავლობაში გრძელდება, შეეძლოთ მოსწავლის მდგომარეობის დინამიკაზე დაკვირვება და ანალიზი. მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია განსაკუთრებული სენსიტიურობით გამოირჩევა და უმჯობესია, ბრძანებით იყოს განსაზღვრული ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის განსხვავებული ვადები და რეჟიმი. მაგალითად, ისეთი შემთხვევები, რომლებიც ამოწურულად მიიჩნევა ან მოსწავლე ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში გადამისამართების შედეგად აღმოჩნდა და არ დადასტურდა რაიმე სახის ფსიქოლოგიური სერვისის მიღების საჭიროება, უმჯობესი იქნებოდა, ელექტრონულ ბაზაში არ ინახებოდეს. ასევე, შესაძლოა, თავად მოსწავლე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი წყვეტდეს მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შენახვის ან წაშლის საკითხს.

აღნიშნული საკითხი მეტად პრობლემურია, გამომდინარე იქიდან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წვდომა აქვს ელექტრონულ სისტემაში (erofficers.emis.ge) არსებულ ყველა, მათ შორის, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის მიერ შექმნილ ჩანაწერებზე. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს დაშვება მოსწავლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ამსახველ ჩანაწერებზე არაპროპორციულად ზრდის ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის რისკს და, შესაბამისად, საჭიროებს კანონმდებლობის დონეზე ზედმიწევნით დეტალურ დარეგულირებას.

7. სასკოლო კლიმატისთვის პოტენციურად საზიანო სხვა საკანონმდებლო მიდგომები და პრაქტიკული გამოწვევები

7.1. ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში უსაფრთხო გარემოს დამკვიდრების ერთ-ერთი, პროდუქტზე ორიენტირებული მეთოდი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს უსაფრთხოების ლოგიკაზე დაფუძნებულ პოლიტიკას, რომლის მთავარი ატრიბუტები ტექნოლოგიური და მეტწილად საპოლიციო საშუალებებია.

საჯარო სკოლებში უსაფრთხოების ტექნოლოგიების გამოყენება მანდატურის სამსახურის დამკვიდრებასთან ერთად უფრო და უფრო გაძლიერდა. განათლების მინისტრის ბრძანების შესაბამისად, ყველა სკოლა, სადაც შესულია მანდატურის სამსახური, ფლობს მეტალოდეტექტორს, რომელიც სკოლაში აკრძალული ნივთის აღმოჩენისა და მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების მიზნით გამოიყენება.[196] იმავე ბრძანების მიხედვით, სკოლის უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის ცენტრალურ კომპონენტს სკოლაში დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერები წარმოადგენს.[197]

ბრძანების თანახმად, სკოლის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს სკოლის ყველა დერეფნის, შესასვლელის, ფოიესა და კიბის ვიდეოდაკვირვებას და იძლეოდეს იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის საშუალებას. იგივე ვრცელდება სკოლის გარე პერიმეტრზე (სპორტული მოედანი, ბაღი, სკვერი). ვიდეომეთვალყურეობა არ

196 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 29.01.2019 წლის N 06/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, 50-ე მუხლი.

197 იქვე, 41-ე და 42-ე მუხლები.

მოიცავს სკოლის ჰიგიენურ წერტილებსა და გამოსაცვლელ ოთახებს, სამასწავლებლოსა და საკლასო ოთახებს.[198] გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის თანახმად, 2022 წლის ზაფხულის მონაცემებით, მანდატურის სამსახური ემსახურებოდა 607 საჯარო სკოლას, რომელთაგან 486 აღჭურვილი იყო ვიდეოსამეთვალყურეო კამერების სისტემით, ხოლო 20 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სარემონტო სამუშაოების გამო, დროებით გათიშული იყო კამერები.[199]

იმავე ბრძანებით რეგულირდება ვიდეოსათვალთვალო სისტემის ადმინისტრირების წესიც. ვიდეოჩაწერის შედეგად მიღებული ელექტრონული ინფორმაცია, არანაკლებ 30 დღისა უნდა ინახებოდეს სათანადოდ დაცულ ადგილზე და დასაბუთებული მოთხოვნისთანავე გადასცენ ან გააცნონ ბრძანებით პირდაპირ განსაზღვრულ სუბიექტებს. სკოლის პერსონალისა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისგან განსხვავებით, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს მხოლოდ ვიდეოჩანაწერის ადგილზე გაცნობის უფლება აქვს.[200]

ბოლო სამი წლის მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ მზარდია მიმართვიანობა მანდატურის სამსახურისადმი, სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების გაცნობისა და გადაცემის მოთხოვნით.[201] ეს შესაძლოა გამომდინარეობდეს 2020-2021 წლებში სკოლებში არსებული დისტანციური ან ჰიბრიდული სწავლების რეჟიმიდან.

198 იქვე.

199 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 21.07.2022 წლის N 6 22 0000828469 წერილი.

200 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 29.01.2019 წლის N 06/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 42.

201 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 08.12.2022 წლის MES 2 22 0001571234 წერილი.

წელი	სკოლის შიდა ან გარე პერიმეტრზე განხორციელებული ვიდეოჩანაწერების მოთხოვნის ჯამური რაოდენობა			ვიდეოჩანაწერის გაცნობის თაობაზე მოთხოვნის რაოდენობა	ვიდეოჩანაწერის გაფაცვლის თაობაზე მოთხოვნის რაოდენობა
2020	32	18 დაკმაყოფილდა	14 არ დაკმაყოფილდა	10	22
2021	62	51 დაკმაყოფილდა	11 არ დაკმაყოფილდა	31	31
2022	86	79 დაკმაყოფილდა	7 არ დაკმაყოფილდა	35	51

მანდატურის სამსახურის წერილიდან ასევე ირკვევა, რომ ვიდეოჩანაწერის გამჟღავნების თაობაზე მოთხოვნა კმაყოფილდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ის ეფუძნებოდა სასამართლოს განჩინებას, დისციპლინურ საქმისწარმოებასა და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნას შვილის ქმედებასთან დაკავშირებით.

ნიშანდობლივია სასკოლო პერსონალის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სკოლაში სამეთვალყურეო კამერების არსებობაზე. ინტერვიუს ფარგლებში გამოკითხული დირექტორი მიუთითებს, რომ მის სკოლაში დაახლოებით 20 ვიდეოკამერაა, რომლებიც სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს სკოლის ყველა სივრცის ხილვადობას. მისივე თქმით, სკოლაში არის პრობლემური ადგილები, სადაც მოსწავლეები ფანჯრებიდან ძვრებიან და ისურვებდა, რომ ამ ადგილებში და გარე პერიმეტრზე დაემატოს კამერები, ვინაიდან სკოლის შიდა ეზო არ იკეტება და რთულია ვიზიტორების კონტროლი.[202] სკოლის დირექტორისთვის სამეთვალყურეო კამერები სკოლაში უსაფრთხო გარემოს დამკვიდრებისთვის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს, თუმცა თბილისის საჯარო სკოლის მასწავლებლის თქმით, *„აბსურდი არის კამერები, სასკოლო საზოგადოებასთან ყოვლად შეუთავსებელი არის, ისევე როგორც ფორმიანი ადამიანი“*, თუმცა ამატებს, რომ

202 ინტერვიუ თბილისის საჯარო სკოლის დირექტორთან (ინტერვიუ 02).

დირექციისა და მანდატურებისთვის კამერა საკვანძო ატრიბუტია.[203] სკოლის მასწავლებელი ვიდეოსამეთვალყურეო კამერებს, მეტალოდეტექტორსა და მანდატურის უნიფორმას ერთიან კონტექსტში აფასებს და ფიქრობს, რომ აღნიშნული ელემენტები ამძიმებს სასკოლო კლიმატს.

მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგები სკოლებში სამეთვალყურეო კამერების საკითხის კომენტირებისას ამბობენ, რომ: *„ფსიქოლოგის თვალით, არ არის საჭირო კამერები და ბავშვს უნდა ჰქონდეს თავისუფლება და სივრცე, სადაც როგორც უნდა ისე გამოხატოს თავი, და მეორე მხრივ, არის უსაფრთხოება, რომელიც, რაც აქ ვმუშაობ იმის მერე დავინახე ეგ საჭიროება, რომ თურმე რეები ხდება. და თურმე ხანდახან არის საჭირო ის მტკიცებულება, რომ ვთქვათ აი ეს ესე მოხდა და არ ვიცი... ძალიან რთულია... ძალიან რთული საკითხია, თორემ იდეაში ბავშვი უნდა იყოს სკოლაში თავისუფლად“.*[204]

ფსიქოლოგების აზრით, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს, თუ რა სახის პრევენციული ეფექტი აქვს დამონტაჟებულ ვიდეოკამერებს და ამისთვის უნდა შეფასდეს, თუ რა შეიცვალა სკოლაში სამეთვალყურეო კამერების გაჩენით. კერძოდ, შემცირდა თუ არა ძალადობრივი ინციდენტების რაოდენობა ან რამდენად გაუმჯობესდა სასკოლო კლიმატი.

სასწავლო პროცესში ტექნიკური და უსაფრთხოების საშუალებების ინტენსიური ინტეგრაცია მიუთითებს იმაზე, რომ უსაფრთხო სკოლის ქართული მოდელი ჯერ კიდევ პროდუქტზე ორიენტირებულ მიდგომებზე დგას. დარღვევათა ელექტრონული აღრიცხვა, მეტალოდეტექტორები და სამეთვალყურეო კამერები პოზიტიური სასკოლო კლიმატის ხელშემწყობ ატრიბუტებად ვერ მიიჩნევა. ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებას შესაძლოა, იმწუთიერი გავლენა მართლაც ჰქონდეს მოსწავლის ქცევაზე, თუმცა აღნიშნულს ვერ მივიჩნევთ სკოლაში უსაფრთხო და და-

203 ინტერვიუ თბილისის საჯარო სკოლის მასწავლებელთან (ინტერვიუ 03).

204 ინტერვიუ ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგებთან (ინტერვიუ 05).

ცული გარემოს შეფასების სანდო ინდიკატორად. ამასთან, სათუოა ამ ოდენობის პერსონალური ინფორმაციის დამუშავების აუცილებლობისა და პროპორციულობის საკითხი. რიგ შემთხვევაში შესაძლოა, ვიდეოსა-მეთვალყურეო სისტემის მიერ დაფიქსირებული კადრები წარმოადგენდეს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ყველაზე სანდო გზას, თუმცა მისი ფართო დანერგვა, შესაძლო სამართალდარღვევის შემთხვევაში სათანადო მტკიცებულების მოპოვების პროცესს უფრო შეუწყობს ხელს, ვიდრე თავად სამართალდარღვევის თავიდან აცილებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ობიექტურად შეუძლებელია სკოლის ყველა კუთხე-კუნჭულის ვიზუალური კონტროლი და სამართალდარღვევის ან დანაშაულის განზრახვის შემთხვევაში, პირი ყოველთვის მოძებნის ვიდეოკამერისგან თავისუფალ სივრცეს.

7.2. მანდატურთა როტაციის გავლენა სასკოლო კლიმატზე

როტაცია საგანმანათლებლო დაწესებულებებში მანდატურთა ადგილმონაცვლეობას გულისხმობს, რაც მანდატურის სამსახურის უფროსის ბრძანებით რეგულირდება. ბრძანების მიხედვით, მანდატურების საგანმანათლებლო დაწესებულებებში განაწილებისა და როტაციისას გასათვალისწინებულია სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა, გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა, ტიპები და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა გარემოებები. ამასთან, საჭიროა სკოლის ინფრასტრუქტურული (შენობების, შენობის ფლიგელების რაოდენობა, სართულებრივი განლაგება და სხვ.) თავისებურებების გათვალისწინებაც. გარდა ამისა, მანდატურს კონკრეტულ სკოლასთან არ უნდა ჰქონდეს რაიმე ტიპის კავშირი, კერძოდ, არ უნდა ჰქონდეს მიღებული განათლება გასანაწილებელ სკოლაში და არც მისი ოჯახის წევრები საქმიანობდნენ ან სწავლობდნენ მითითებულ დაწესებულებაში.[205] საკითხის ნორმატიული მოწესრიგება მანდატურის სკოლა-

205 მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 19 ნოემბრის N132 ბრძანება „სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განაწილებისა და როტაციის შესახებ“.

სთან კავშირს ავტომატურად არასასურველ მოცემულობად მიიჩნევს. სავარაუდოდ, მითითებული წესი მანდატურის ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად შეიმუშავეს, თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა სკოლის მანდატურთა ხშირმა ცვლამ სკოლაში არსებულ ატმოსფეროზე ნეგატიური გავლენა მოახდინოს.

მანდატურის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2020 წლის განმავლობაში როტაცია შეეხო 95 მანდატურს, 2021 წელს 59-ს, ხოლო 2022 წლის 9 თვის მდგომარეობით – 615 მანდატურს. თვალშისაცემია, რომ სკოლებში ჰიბრიდული სასწავლო რეჟიმის დასრულების შემდგომ მანდატურთა როტაციის მაჩვენებელი საგრძნობლად გაზრდილია და მას რუტინული ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან დასაქმებული მანდატურების თითქმის მესამედი დაექვემდებარა ადგილმონაცვლეობას. როგორც სკოლის დირექტორთან, ისე მასწავლებელთან ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ როტაცია არ წარმოადგენს წმინდა შიდაორგანიზაციულ, ტექნიკურ ცვლილებას. ამან შესაძლოა სკოლაში არსებითი ცვლილებებიც კი გამოიწვიოს და აისახოს როგორც მოსწავლეთა განწყობაზე, ისე სკოლაში დაფიქსირებულ დარღვევათა რაოდენობაზე.

სკოლის მანდატურების თქმით, დროა საჭირო იმისთვის, რომ ბავშვებთან დამყარდეს ნდობა, მოსწავლეებმა ისინი აღიქვან დამცველად და საჭიროების დროს მიმართონ. მიმართვის მიზეზები მრავალფეროვანია და არ შემოიფარგლება სასკოლო საკითხებით. ხშირია შემთხვევა, როდესაც მოსწავლეს სჭირდება უბრალოდ რჩევის მიღება ან საუბარი. გამოკითხული მანდატურის თქმით, იმ სკოლაში, სადაც რამდენიმე წელი იმუშავა, მოსწავლეებს კარგად იცნობდა, რაც ხელს უწყობდა კონკრეტული გამოწვევების იდენტიფიცირებაში. *„მოსწავლეთა გამომეტყველებითაც ვხვდებოდი და ვგრძნობდი, რა შეიძლებოდა გაეკეთებინა, რა უჭირდათ და რაში შეიძლებოდა დახმარება“.*[206]

ამასთან, მანდატურთა გამოცდილებით, ბავშვების ინდივიდუალურ დონეზე გაცნობა, მათი ხასიათისა და ინტერესების ცოდნა, თანა-

206 ინტერვიუ თბილისის საჯარო სკოლის მანდატურებთან (ინტერვიუ 04)

ტოლთა ურთიერთობებზე დაკვირვება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი შეიძლება იყოს სხვადასხვა პრობლემის, მათ შორის ბულინგის ამოცნობისთვის.[207] როტაციის პრინციპის გათვალისწინებით, მანდატურს ახალ სკოლაში გადასვლისას ხელახლა უწევს სკოლისა და მოსწავლეების გაცნობა, ბავშვებთან ინდივიდუალური კომუნიკაციის დამყარება, რაც შესაძლოა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყოს.

ამაზე საუბრობს თბილისის საჯარო სკოლის მასწავლებელიც: *„ახლა გვყავდა ძალიან მეგობრული მანდატური, თუმცა ამას სამინისტრო აზღვევს, რომ არ შევიდეს [მანდატური] ახლო ურთიერთობაში და ამიტომაც ხდება როტაცია. ამიტომ, როცა დაახლოვდებიან [მოსწავლეებთან] უწევთ სკოლის შეცვლა. მაგრამ, ამ ბავშვებს ურჩევნიათ მეგობარი და გული სწყდებათ, [...] ახლა ვინც მოვიდა და მანამდეც ვინც იყო, ის ძაან არ უყვარდათ – გვძაბავს, რომ ვხედავთ და გვეშინიაო. ასე რომ, ძალიან პიროვნულია“.*[208]

სკოლის მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს მანდატურის მიუკერძოებლობისა და ნეიტრალურობის მნიშვნელობაზე. მიუხედავად ამისა, პრობლემად აფასებს იმ ფაქტს, რომ მანდატურები, როდესაც მოსწავლეების ნდობას მოიპოვებენ და მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდებათ, სწორედ ამ დროს გადაჰყავთ სხვა სკოლაში. მისი აზრით, მანდატურს სწორედ ბავშვების პირადად გაცნობა და მათი ოჯახური მდგომარეობის ცოდნა ეხმარება პროფესიულ საქმიანობაში, ამიტომ შესაძლებლად მიიჩნევს, რომ მანდატურები, ისე როგორც მასწავლებლები, ერთ სკოლაში იყვნენ განაწილებულები. თუმცა ამ მხრივაც ხედავს გამოწვევას, რომ მასწავლებლებსა და მანდატურებს შორისაც გაჩნდეს ახლო კოლეგიალური ან მეგობრული ურთიერთობა, რაც, მისივე თქმით, არაა სასურველი.

თბილისის ერთ-ერთი მაღალკონტიგენტიანი სკოლის დირექტორი მანდატურთა როტაციის პრაქტიკას ერთმნიშვნელოვნად უარყოფი-

207 ინტერვიუ თბილისის საჯარო სკოლის მანდატურებთან (ინტერვიუ 04).

208 ინტერვიუ თბილისის საჯარო სკოლის მასწავლებელთან (ინტერვიუ 03).

თად აფასებს. დირექტორი ხაზს უსვამს მანდატურთა როლს მოსწავლეთა მიერ სასკოლო საათებში სკოლის დატოვების პრევენციის ან მოსწავლეთა მიერ ჩადენილი დარღვევების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების კუთხით. რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მანდატურთა ცვლილებამ შესაძლოა, ზიანი მიაყენოს სკოლაში დამყარებულ წესრიგს.[209] *„ბავშვი, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში ვაკვირდებოდი, ფაქტობრივად ჩემს ხელში გაიზარდა, ვიცი რისი გამკეთებელია და რისი არა. უკვე სახეზე ვცნობ და სკოლიდან გაპარვის შემთხვევაში ვიცი, რომ ამას შვიდი გაკვეთილი აქვს, ახლა მეექვსე გაკვეთილია და [ვეტყვი] შედი აბა სკოლაში..“.*[210]

დირექტორის თქმით, მის სკოლას გაუმართლა, რადგან როტაცია არ შეხებია და იმედს გამოთქვამს, რომ არც შეეხება. მანდატურები და სკოლის დირექცია კოორდინირებულად მუშაობენ და ფუნქციები სათანადოდაა გადანაწილებული. მანდატურები ორიენტირებულნი არიან სკოლაში არსებული კონკრეტული პრობლემების აღმოფხვრაზე და არა რაც შეიძლება მეტი დარღვევის დაფიქსირებაზე.

სასკოლო საზოგადოების გამოკითხული წევრების თვალსაზრისი, ძირითადად, თანხვედრაშია ერთმანეთთან და მანდატურთა როტაცია მეტწილად კრიტიკულად ფასდება, თუმცა შესაძლოა, რომ ზოგჯერ ობიექტური გარემოებების, მანდატურის, სკოლის ან მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, საჭირო იყოს მანდატურთა როტაცია. აქედან გამომდინარე, სასურველია, როტაციას არ ჰქონდეს რუტინული ხასიათი და მანდატურის სხვა სკოლაში გადაყვანის საკითხი პრაქტიკაში წყდებოდეს ინდივიდუალურად, არსებული საჭიროებისა და არა მანდატურთა მიერ სკოლაში გატარებული პერიოდის მიხედვით.

209 ინტერვიუ თბილისის საჯარო სკოლის დირექტორთან (ინტერვიუ 02).

210 იქვე.

7.3. ბულინგთან დაკავშირებული ცალკეული გამოწვევები

ბულინგი არა მარტო საქართველოში, არამედ მეტად განვითარებული სასკოლო სისტემების მქონე ქვეყნებშიც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. მას ხშირად მოსდევს ფიზიკური კონფლიქტიც, რაც მძიმე შედეგით არაერთხელ დასრულებულა. ინტერვიუს ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტები თანხმდებიან, რომ ბულინგსა და კიბერბულინგთან დაკავშირებით ინფორმირებულობისა და ცნობიერების დონე ერთიორად გაზრდილია, თუმცა ამ მიმართულებით კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები. ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგების თქმით, ბულინგის პრობლემის აღმოფხვრის პროცესში როგორც ბავშვებთან, ისე სკოლის პერსონალთან ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო. მათი განმარტებით, კვლავ პრობლემურია სკოლაში ბულინგის მსხვერპლი ბავშვების, განსაკუთრებით ბიჭების მიერ ამ საკითხზე მასწავლებლის ან მანდატურისადმი მიმართვიანობა. ბიჭების წრეში აღნიშნული კვლავ „ჩაშვებად“ მიიჩნევა.

ფსიქოლოგთა თქმით, ხშირად, თუ მოსწავლე განაცხადებს, რომ მის მიმართ ბულინგს აქვს ადგილი, ეს სხვა მოსწავლეებისგან დამატებითი ბულინგის საბაბი შეიძლება გახდეს.[211] *„ერთი მხრივ ბავშვს ვეუბნებით, რომ აუცილებლად ჩართოს უფროსი, მეორე მხრივ, ბავშვი „ჩაშვებას“ თავს არიდებს. არ ეუბნება მშობელს, მანდატურს ან მასწავლებელს, თავად ამ პრობლემას ვერ აგვარებს და დახმარებას უფროს მეგობარს სთხოვს, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს შესაძლო ტრაგედიამდე“.*[212]

ფსიქოლოგთა თქმით, ჩაშვების ან დასახმარებლად მიმართვის სტიგმა უკავშირდება კრიმინალურ მენტალიტეტს, რომელიც ქვეყანაში ბოლომდე არ აღმოფხვრილა და კვლავ დიდი გავლენა აქვს არასრულწლოვანებზე. ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლები მიუთითებენ, რომ ბულინგთან დაკავშირებული ტრენი-

211 ინტერვიუ მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგებთან (ინტერვიუ 05).

212 იქვე.

ნგების პროცესში ხშირი შეხება აქვთ მასწავლებლებსა და სკოლის პერსონალთან. ამ პროცესებში ჩანს, რომ პედაგოგებს ჯერ კიდევ არ აქვთ ბულინგის ამოცნობისთვის სათანადო კომპეტენცია ან, მეტიც, საკმარისი მგრძნობელობა ბულინგის საკითხზე. მათი თქმით, ყოფილა არაერთი შემთხვევა, როდესაც მასწავლებლები ბულინგის შესახებ გამართულ ტრენინგზე აპროტესტებდნენ, რომ მეტსახელების შერქმევა არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული ბულინგად. ამასთანავე, ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ შეხვედრიან ბულინგის მიმართ გამორჩეული ტოლერანტობის მქონე მასწავლებელსაც. ამის მიუხედავად, ფსიქოლოგთა თქმით *„ბულინგის გაგონება აღარავის უნდა, ჰგონიათ რომ გადაღეჭილი თემაა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია“.* [213]

სკოლის მასწავლებელი ინტერვიუში მიუთითებს, რომ *„ბულინგი გადაღეჭილი აქვს ყველას, მათ შორის მოსწავლეებს, […] მასწავლებლებს კი ბევრი ტრენინგი უტარდებათ, ტრენინგი გახდა საძულველი სიტყვა, იმდენი ტრენინგი ტარდება, რომ წინასწარგანწყობა ჩამოყალიბდა ტრენინგის მიმართ, რომ ცუდი რაღაცაა“.*[214] როგორც ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები ძალიან ბევრ საკითხში არიან გადამზადებულები, ეს პრაქტიკაში მაინც და მაინც არ ვლინდება.[215]

პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში ბულინგის პრობლემა გააზრებულია და როგორც მანდატურის სამსახური, ისე განათლების სამინისტროს სხვა რგოლები მოცემულ საკითხზე ინტენსიურ ყურადღებას ამახვილებენ. მნიშვნელოვანია წინსვლა ბულინგთან დაკავშირებულ ცნობიერებაზე, თუმცა იკვეთება გამოწვევები სამინისტროს სხვადასხვა რგოლის კოორდინირებულ, გეგმაზომიერ მოქმედებასთან დაკავშირებით. ამასთან, უცნობია ბულინგის წინააღმდეგ ბრძო-

213 იქვე.

214 ინტერვიუ თბილისის საჯარო სკოლის მასწავლებელთან (ინტერვიუ 03).

215 ინტერვიუ მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოსა და ფსიქოსოციალური ცენტრის ხელმძღვანელებთან (ინტერვიუ 01).

ლის ფარგლებში მიღწეული კონკრეტული შედეგები. აღნიშნული მიუთითებს როგორც ლოკალურ, სკოლის დონეზე სასკოლო უსაფრთხოების შესახებ შიდა შეფასების, ისე სამინისტროს მხრიდან სანდო მეთოდოლოგიის გამოყენებით სკოლებში ბულინგის დინამიკის შესახებ კვლევების საჭიროებაზე. ეს მნიშვნელოვანია როგორც აქტუალური სტატისტიკის, ისე სკოლების თანამშრომლების კომპეტენციის შეფასებისთვის.

შეჯამება და რეკომენდაციები

ბოლო წლებში საკანონმდებლო ბაზა უფრო მეტად მოწესრიგდა, ახალი აქტებით შეიქმნა სხვადასხვა სიტუაციაზე რეაგირების მყარი საკანონმდებლო ჩარჩო. ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს ბუნდოვანი ჩანაწერები, მათ შორის, კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის გამიჯვნასთან დაკავშირებით.

ამავდროულად, კანონმდებლობით და პოლიტიკით განმტკიცებული უსაფრთხოების არსებული მიდგომები დღემდე უპირატესობას ანიჭებს კონტროლზე ორიენტირებულ მექანიზმებს. ეს ერთგვარად, ინერციით მოსდევს მანდატურის სამსახურის ჩამოყალიბებას და იმ დროს მიმდინარე დებატებს, რამაც განაპირობა ისეთი მექანიზმების შემოტანა, როგორიცაა მეტალოდეტექტორები და სათვალთვალო კამერები. მართალია, საწყის წლებთან შედარებით, მანდატურს უფრო მეტად შეემატა ზრუნვის ვალდებულება და თავად სამსახურის გეზიც, დიდწილად, აქეთკენაა მიმართული, თუმცა მთლიანად სასკოლო სისტემაში ზრუნვის პოლიტიკისკენ რადიკალური შეტრიალება მაინც არ მომხდარა. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რესურსი უკიდურესად მწირია.

პრობლემაა ისიც, რომ უსაფრთხოების საკითხების შესახებ ცოდნა თავად სკოლებში მეტწილად ფრაგმენტულია. ეს ნეგატიურად აისახება ზოგად სასკოლო კლიმატზე, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის თანამშრომლობის ხარისხზე, მოსწავლეებისადმი გამოვლენილ მიდგომებსა და სხვ.

საბოლოოდ, სისტემა კანონმდებლობისა და პოლიტიკის დონეზე ჯერ კიდევ არ არის ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული. სასკოლო უსაფრთხოების პოლიტიკაში მოსწავლეთა ქცევის კონტროლისკენ მიმართულ მექანიზმებს მაინც წამყვანი როლი აქვს მინიჭებული. მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისმა უწყებებმა და მთლიანად სახელმწიფომ, ამ კუთხით, არსებითად ახალი პოლიტიკური თვალთახედვის დანერგვაზე აქტიურად იმუშაოს.

ამ ფონზე, კვლევის გუნდი წარმოადგენს შემდეგ რეკომენდაციებს:

- მნიშვნელოვანია სკოლაში დემოკრატიული მართვის მოდელების დანერგვა და განვითარება. განათლების სისტემაში სასკოლო უსაფრთხოების საკითხი სასკოლო ცხოვრების შემადგენელ ნაწილად უნდა განვიხილოთ და არა ატრიბუტებისა და ღონისძიებების ერთობლიობად, რომელიც ინტერვენციულ ხასიათს ატარებს და მოკლევადიანი შედეგებისკენაა მიმართული.

- გაფართოვდეს ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის დაფარვის არეალი და ფუნქციები; კერძოდ, სოციალური მუშაობის კომპონენტით, ცენტრი წარმოდგენილი იყოს ყველა საჯარო სკოლაში, სადაც შესულია მანდატურის სამსახური.

- დაზუსტდეს იმ ქმედებათა ჩამონათვალი, რომლებიც სასკოლო დარღვევად მიიჩნევა და მანდატურების მიერ ქმედების დარღვევად შეფასება განხორციელდეს გონივრულობისა და პროპორციულობის პრინციპების გათვალისწინებით.

- გადაიხედოს დარღვევათა რეგისტრაციის არსებული პროცედურა და მანდატურის სამსახურის მიერ ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში აღირიცხოს მხოლოდ სასკოლო უსაფრთხოებისთვის რელევანტური დარღვევები.

- გადაიხედოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ინფორმაციის გაცვლის მასშტაბები და პროცედურები. კერძოდ, დაზუსტდეს დარღვევათა სახეები, რომელზე წვდომაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს დანაშაულის პრევენციისთვის. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს წვდომა ჰქონდეს მხოლოდ სკოლებთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებზე და არა მოსწავლეთა ინდივიდუალურ დარღვევებზე.

- კანონმდებლობით ზედმიწევნით განისაზღვროს სამართალდამცავი ორგანოების პირდაპირი ინფორმირების საფუძვლები და სკოლაში პოლიცია გამოიძახონ მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, რომელთან გამკლავებაც სცდება სკოლის ან მანდატურის სამსახურის კომპეტენციებს.

- სკოლაში გაძლიერდეს სასკოლო მედიაციის გამოყენების პრაქტიკა.

- დარღვევის შესახებ ინფორმაცია, ასევე ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში გადამისამართებისა და მიღებული სერვისის შესახებ ჩანაწერები დამუშავდეს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და იმ ვადით, რაც აუცილებელია მისი ინტერესების დასაცავად ან სკოლაში უსაფრთხოების სათანადო ხარისხის უზრუნველსაყოფად.

- გადაიხედოს ელექტრონული მეთვალყურეობის საშუალებების როლი სასკოლო პროცესის მართვაში. ვიდეოსამეთვალყურეო კამერის ცენტრალურ ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს არა გამოვლენილი დარღვევის მტკიცებულების სახით დაფიქსირება, არამედ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა.

- მანდატურთა როტაცია განხორციელდეს დაწესებულების ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე და არა მანდატურის სასკოლო საზოგადოებაში მაღალი ინტეგრირების ხარისხის ან დაწესებულებაში გატარებული დროის საფუძველზე. პირიქით, წახალისდეს მანდატურთა ხანგრძლივი დროით დარჩენა კონკრეტულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.